120
25
... მარქსის სახ. საქ. სსრ ... წიგნთა რესპუბლიკ... ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სალიტერატურო გაზეთი

ფასი 20 კაპ.

1932
18 სექტემბერი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გაზეთი

№ 20

ღირსეულად შევხვდეთ ოქტომბრის 15 წლის თავს

ახლოვდება ოქტომბრის მეხუთმეტე წლისთავი. მსოფლიოს რევოლუციონური პროლეტარიატი და მისი დამკვრელი ბრიგადა — საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი — უდიდეს ენტუზიაზმით აღნიშნავს ამ დიად ისტორიულ თარიღს.

მიმდინარე წლის 7 ნოემბერი — გრანდიოზული პროლეტარული ზეიმიდან გადიქცევა მსოფლიოში უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლისათვის დაპირისპირებული ძალის ნამდვილ დემონსტრაციად, რომელმაც საბოლოოდ და მთელი სიცხადით უნდა გამოამჟღავნოს მომაკვდავი კაპიტალიზმის აგონია, მისი განწირულება, იმ გიგანტური ზრდისა და განვითარების ეპოქაში, რომელსაც განიცდის სოციალიზმის მშენებელი ქვეყანა, რომლითაც ხასიათდება საერთაშორისო მუშათა კლასის რევოლუციონური მოძრაობა.

ოქტომბრის მეხუთმეტე წლის თავზე ჩვენ შევაჯამებთ გმირული ბრძოლებით მიღწეულ გამარჯვებებს. ოქტომბრის მეხუთმეტე წლის თავი დაძრავს რევოლუციონურ ენტუზიაზმის ახალ ტალღებს, კიდევ მეტად განაცხოველებს სოციალისტური შემოქმედების ტემპებს ჩვენს ქვეყანაში და გამოიწვევს მსოფლიო პროლეტარიატის მოწინავე მილიონების კიდევ მეტად დარაზმვას და შეამჭიდროებს კომუნისტური ინტერნაციონალურ დროშის გარშემო.

პროლეტარული დიქტატურის პირველი სამშობლო — საბჭოთა კავშირი — თავისი არსებობის მე-15 წლისთავს ეგებება საერთაშორისო ბურჟუაზიის გაცხოველებული სამზადისის გარემოცვაში,—ახალი იმპერიალისტური სასაკლაოს გასაჩაღებლად. გაშლილი სოციალისტური მშენებლობა მიმდინარეობს გამწვავებულ კლასიურ ბრძოლის პირობებში. ჩვენ ვადამდე ვასრულებთ სოციალიზმის მშენებლობის პირველ ხუთწლედს და ვემზადებით იმ ახალი ეტაპისათვის, რომელმაც რეალურად უნდა აქციოს უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგება. ამიტომ ბრძოლა პარტიის გენერალურ ხაზის ურყევად გატარებისათვის სოციალისტურ მშენებლობის ყველა ფრონტებზე, დასახულ გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, ყველა გარღვევებისა და ჩამორჩენილობის დაუყოვნებლივი აღმოფხვრისა და ლიკვიდაციისათვის, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის შემდგომი განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის — აი ლოზუნგი, რომლის ნიშნის ქვეშ უნდა მიმდინარეობდეს საოქტომბრო სამზადისი.

ლენინგრადის მუშების, მუშაქალების და სპეციალისტების მოწოდება ოქტომბრის მეხუთმეტე წლის თავისათვის სამზადისის შესახებ და ის გამოხმაურება, რომელიც ამ მოწოდებამ ჰპოვა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკებში ნათლად მოწმობს, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელ მილიონებს სავსებით შეგნებული აქვთ იმ ამოცანების მთელი სიღრმე და სირთულე, რომელსაც აყენებს ჩვენს წინაშე უდიდესი სადღესასწაულო თარიღის მოახლოვება.

საბჭოთა ქარხნებში, მაღაროებში, კოლმეურნეობებში, ყველგან, სოციალისტური ეკონომიკის ყველა უჯრედებში დაიძრა შემოქმედი ენტუზიაზმის ახალი ტალღა, კიდევ მეტად გაიშალა შრომის სოციალისტური ფართობი, გაჩაღდა ბრძოლა იმისათვის, რომ ბელადის ისტორიულ მითითებათა რეალიზაციის ნიადაგზე — ყველამ ღირსეულად შეასრულოს ნაკისრი კონკრეტული ვალდებულებანი და გამარჯვებული შეეგებოს პროლეტარულ ზეიმს.

საბჭოთა მწერლობა მთელი თავისი შემოქმედებითი ძალებით უნდა ჩაებას ამ ბრძოლაში, მან უნდა დასახოს კონკრეტული ვალდებულებანი და მათი ბოლშევიკური რეალიზაციით საბოლოოდ და ურყევად უნდა დაამტკიცოს, რომ ის სოციალიზმის მშენებელი, ეპოქის ღირსეული ლიტერატურაა.

სოციალიზმის ძლევამოსილმა ზრდამ ჩვენს ქვეყანაში უზრუნველყო უდიდესი მიღწევები და გამარჯვებები ლიტერატურის ფრონტზედაც. პროლეტარული დიქტატურის ქვეყანამ აღზარდა და განამტკიცა თავისი კლასიური მწერლობის მშენებელთა მთელი თაობა, რომლებიც მხატვრული სიტყვის უმახვილესი იარაღით იბრძვიან სოცმშენებლობის მოწინავე რიგებში. გამარჯვებულმა მუშათა კლასმა მოწინააღმდეგეების ბანაკს გამოსტაცა და თავისი დროშის ქვეშ დააყენა ძველი მხატვრული ინტელიგენციის საუკეთესო ფენები.

ამ დღეებში დამთავრებულმა ომის საწინააღმდეგო კონგრესმა ამსტერდამში კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ სოციალიზმის გამარჯვებამ ჩვენს სასარგებლოდ დაარწმუნა, დააშორა რეაქციონური კლასების ბანაკს და პროლეტარიატის ინტერესებისათვის აქტიურ მებრძოლებად აქცია მხატვრული კულტურის ისეთი უდიდესი და მსოფლიო მნიშვნელობის ძალები რომლებიც წინად შორს იდგნენ მუშათა კლასისაგან.

ჩვენ შევქმენით ისეთი ლიტერატურული მოძრაობა, რომელსაც თავისი იდეური პროგრესიულობით, თავისი დიაპაზონით, პოტენციით და ინტენსიობით ვერ შეედრება ვერც ერთი ქვეყნის, ვერც ერთ ეპოქის მწერლობა.

ჩვენ მწერლობა ვაქციეთ მშრომელ მილიონების საკუთრებად და ამავე დროს დაზგებიდან და სოციალისტური მინდვრებიდან მოსულ მწერალთა კადრების სახით—თვით მშრომელი მასები გავხადეთ ლიტერატურის შემოქმედ ძირითად ძალად.

ამიტომაც ჩვენ მოვიპოვეთ უდავო უფლება ვსთქვათ, რომ საბჭოთა მწერლობა ჩვენი ეპოქის უდიდესი და მოწინავე მწერლობაა, რომ იგი საკაცობრიო მხატვრული კულტურის ღირსეული მემკვიდრე და უმაღლესი საფეხურია.

საბჭოთა მწერლობამ ოქტომბრის მეხუთმეტე წლის თავისათვის მთელი ქვეყნის წინაშე უნდა დაამტკიცოს ეს თავისი უპირატესობა ლიტერატურული შემოქმედების მაღალხარისხოვანი დოკუმენტებით.

მეთხუთმეტე ოქტომბერს ჩვენ უნდა მივსცეთ ისეთი მხატვრული ტილოები, რომელშიც ღრმად, სწორად და მრავალმხრივად უნდა გამოიხატოს ჩვენი კლასის თავდადებული ბრძოლები და გმირული გამარჯვებები ოქტომბრის სახელოვან და ძლევამოსილ გზაზე. მუშათა კლასმა მე-15 წლის თავზე მხატვრულ ლიტერატურაში უნდა ჰპოვოს თავისი საუკეთესო წარმომადგენელი, სოციალიზმისათვის მებრძოლ მოწინავე ადამიანთა ღირსეული სახეები.

მხატვრულმა მწერლობამ უნდა დარაზმოს თავის შესაძლებლობათა მთელი მაქსიმუმი, რათა შესაფერად გამოხატოს ოქტომბრისაკენ მიმავალი კლასის გეროიკა და რევოლიუციონური შემოქმედების ეპოპეა,—სოციალიზმის მშენებლობა, მის ყოველდღიურობაში, მის კონკრეტულ გამოვლენაში.

ამას მოითხოვს თავისი გამარჯვების მე-15 წლის თავისათვის სამზადისის პათოსით მოცული ქვეყანა თავისი ლიტერატურული მოძრაობისაგან და ამ მოთხოვნის განადგებაში საბჭოთა მწერლობამ უნდა ჩაატაროს ნამდვილი შემოქმედებითი გამოცდა.

მეხუთმეტე წლის თავზე ქვეყანა შეამოწმებს, თუ რამდენად ღირსეულად შეასრულა მწერლობამ მასზე დაკისრებული კონკრეტული ისტორიული ვალდებულება.

საბჭოთა მწერლობის ამ შემოწმებიდან გამარჯვებული გამოსვლა მოითხოვს თვითეულ მწერალის მიერ ამოცანის მთელი სირთულის გათვალისწინებას და საკუთარი შემოქმედებითი ძალების უდიდეს ამოძრავებას.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა ლიტერატურა, მიუხედავად მისი უპირატესობისა და მიღწევებისა, ჯერ კიდევ ნაბიჯს ვერ უსწორებს ჩვენს ქვეყანაში გაშლილ სოციალისტური მშენებლობის ტემპებს. ამ მხრივ ლიტერატურულ ფრონტზე ჩვენ გვაქვს საგრძნობი ჩამორჩენილობა.

ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 23 აპრილის ისტორიულ დადგენილებით დასახა საბჭოთა მწე[illegible]ბელ მიზეზების გადალახვისა და ჩამორჩენილობათა ლიკვიდაციის უახლოესი პერსპექტივა.

ამ დადგენილებით განპირობებული, მუშაობის ნამდვილი შინაარსობრივი გარდაქმნა სავსებით დამოკიდებულია მწერლების მიერ ოქტომბრისათვის სამზადისთან დაკავშირებულ ამოცანათა წარმატებით გადაჭრა.

მეთხუთმეტე ოქტომბრისათვის სამზადისის პროცესში ჩვენ უფრო მჭიდროთ უნდა დავირაზმოთ სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გარშემო, კიდევ მეტად უნდა გავამახვილოთ ბრძოლა მწერლობაში მუშათა კლასის პოზიციების განსამტკიცებლად, ახალ ეტაპზე უნდა ავიყვანოთ მწერლობის მხატვრული ხარისხისათვის ბრძოლა და ამით დავამტკიცოთ, რომ ჩვენ შეგვიძლია ბოლშევიკურად შევასრულოთ პარტიის დავალება, რომ ნამდვილი გარდატეხა და მუშაობის გარდაქმნა უზრუნველყოფილია.

ამ ამოცანებით უნდა განსაზღვროს მიმდინარე ეტაპზე თავისი მუშაობა ჩვენმა სალიტერატურო ორგანიზაციებმა და აგრეთვე ყოველმა მწერალმა, რომელიც ნამდვილად სდგას საბჭ. ხელისუფლების პოზიციებზე და გულწრფელად ისწრაფვის მონაწილეობა მიიღოს სოციალისტურ მშენებლობაში.

სადღესასწაულო თარიღამდე დარჩენილია კიდევ ორი თვე. გავაძლიეროთ სამზადისი ტემპები.

მწერლები და ოქტომბერი

საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა [illegible] აგვისტოს სხდომაზე დაამტკიცა ოქტომბრის რევოლიუციის 15 წლის თავის აღსანიშნავ დღესასწაულში მწერალთა ორგანიზაციებისა და მწერლების მონაწილეობის გეგმა.

ოქტომბრის დღესასწაულისათვის გამოვა საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანოების სპეციალური ნომრები („მნათობი“, „სალიტერატურო გაზეთი“. „საბჭოთა მწერლობა“).

აღიძრა საკითხი სახელგამის წინაშე სპეციალური კრებულის და ცალკე ნაწარმოებთა გამოცემის საქმის დაჩქარების შესახებ. აგრეთვე წინადადება მიეცა გამომცემლობა „ფედერაცია“-ს დაუყოვნებლივ შეუდგეს ამავე მიზნით საჭირო ღონისძიებების გატარებას.

შემოქმედებით მივლინებაში გაგზავნილ მწერლებს ევალებათ ვადაზე წარმოადგინონ მასალები პერიოდულ გამოცემათა სპეციალურ ნომრებისა და კრებულისათვის.

დღესასწაულთან დაკავშირებით, მწერალთა სასახლეში და მუშათა კლუბებში წაკითხული იქნება მოხსენებები თემაზე: „ქართული ლიტერატურა ოქტომბრის შემდეგ და მისი განვითარების გზები“.

ოქტომბრის დღესასწაულის აღსანიშნავად მწერალთა სასახლეში შესდგება მწერალთა კავშირის საზეიმო სხდომა მწერალთა აქტივთან ერთად. ამ სხდომაზე წაკითხული იქნება მხატვრული მასალები ოქტომბერზე.

მწერალთა კავშირი მონაწილეობას მიიღებს მთავრობის მიერ გამართულ საზეიმო სხდომაზე.

მუშათა კლუბებში გამართულ საღამოებში მონაწილეობის მისაღებად გამოყოფილი იქნება მწერალთა ბრიგადები.

რესპუბლიკის მთავარ რაიონებში მივლინებულნი იქნებიან მწერლები ზეიმში მონაწილეობის მისაღებად.

ამავე მიზნით, განზრახულია მწერალთა დელეგაციების გაგზავნა მოძმე რესპუბლიკებში.

ზეიმის დღეს ქალაქის მოედნებზე მასების წინაშე მოეწყობა მწერალთა გამოსვლები.

აგრეთვე მწერალთა გამოსვლა მოეწყობა რადიოში. მწ. კავშირმა მიმართა სახელგამს ოქტომბრისათვის მოაწყოს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გამოცემულ მხატვრულ ლიტერატურის გამოფენა.

მწერალთა კავშირი მონაწილეობას მიიღებს ქალაქის მორთვაში.

მწერალთა კავშირმა, ავტონომიურ ერთეულებსა და რაიონებში არსებულ მწერალთა ორგანიზაციებს წინადადება მისცა გააძლიერონ მუშაობა ოქტომბრის დღესასწაულის აღსანიშნავად.

ოქტომბრის დღესასწაულის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიაში მწ. კავშირის წარმომადგენლად გაიგზავნა ამხ. **სანდრო ეული**.

შემოქმედებითი მივლინებაში

ოქტომბრის რევოლიუციის 15 წლის თავთან დაკავშირებით, საქართველოში წარმოებულ სოციალისტურ მშენებლობაზე ნარკვევების, ლექსების, პოემების და მოთხრობების დასაწერად, საბჭოთა მწერლების კავშირმა რესპუბლიკის მთავარ რაიონებში მიავლინა შემდეგი მწერლები:

ნიკო ლორთქიფანიძე, ი. მოსაშვილი, გ. ბუხნიკაშვილი, ს. ჩიქოვანი, ტ. ტაბიძე, კ. ლორთქიფანიძე, რ. გვეტაძე, ა. მაშაშვილი, პ. სამსონიძე, ფრ. ნაროუშვილი, გ. ლეონიძე, კ. გამსახურდია, გ. ტაბიძე, კ. ნადირაძე, ვ. ჟურული, ს. კლდიაშვილი.

ზოგი მათგანი უკვე დაბრუნდა შვებულებიდან და შეუდგნენ მასალების დამუშავებას.

ომის საწინააღმდეგო

საერთაშორისო კონგრესი

ომის საწინააღმდეგო საერ. კონგრესი, რომელიც აგვისტოს დამლევს შესდგა ამსტერდამში წარმოადგენს ანტი-სამხედრო ფრონტის გაფართოების და საბჭოთა კავშირისადმი სიმპატიების არაჩვეულებრივი ზრდის ილიუსტრაციას.

ეს კონგრესი მოწვეული იქნა **რომენ როლანის, ჰანრი ბარბიუსის** და **მაქსიმ გორკის** ინიციატივით. მათმა მოწოდებამ ძალების მობილიზაციის შესახებ ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დასაცავად, მხურვალე გამოხმაური ჰპოვა ყველა ქვეყნებში. საერთაშორისო საინციატივო კომიტეტი ყოველდღიურად აუარებელ კოლექტიურ და ინდივიდუალურ მიმართვებს და განცხადებებს ღებულობდა ანტისამხედრო ფრონტისადმი შეერთების შესახებ გამოჩენილ მწერლებისაგან, სწავლულების, სპეციალისტების, თავისუფალი პროფესიის პირებისა და პროლეტარულ ორგანიზაციებისაგან.

ანრი ბარბიუსი

მ. გორკი

რომენ როლანი

მთელმა ბურჟუაზიულმა და სოციალ-ფაშისტურმა პრესამ ნამდვილი ომი გამოუცხადა კონგრესს, სოციალ-ფაშისტებმა კონგრესი „კომუნისტურ მახინაციათ“ გამოაცხადეს და სასტიკად აუკრძალეს თავის წევრებს მასზე მონაწილეობა. პოლიცია აპატიმრებდა კონგრესის მზადების ორგანიზატორებს, მთავრობები ვიზებს არ აძლევდნენ დელეგატებს. მიუხედავად ამისა კონგრესზე არჩეულ იქნა 5000-დე დელეგატი დედამიწის ყველა კუთხიდან, მაგრამ მხოლოდ 2500 დელეგატმა შესძლო დასწრება კონგრესზე, დანარჩენებმა ან ვიზა ვერ მიიღეს ან ციხეში ამოჰყვეს თავი, კონგრესის მონაწილეთა შორის იყო ოთხასამდე სოციალ დემოკრატიული მუშა, რომლებმაც ბელადების აკრძალვის მიუხედავად, [illegible] მრავალ ათეულ ათას ამხანაგის დავალებით გადასწყვიტეს გამოსულიყვნენ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის დასაცავად.

კონგრესი გაიხსნა საბჭოთა დელეგაციის დაუსწრებლად. ჰოლანდიის მთავრობამ კონგრესზე დასწრების ნება არ მისცა იმ ქვეყნის წარმომადგენლებს, რომელიც მთელს მსოფლიოში ერთად-ერთი ატარებს ნამდვილად მშვიდობიან პოლიტიკას. ჰოლანდიის მთავრობის ამ ნაბიჯმა სასტიკი აღშფოთება გამოიწვია კონგრესის დელეგატებსა და მშვიდობიანობის ყველა მეგობრებს შორის.


მარტინ ანდერსენ ნექსე

კონგრესზე წარმოდგენილი იყვნენ უაღრესად მრავალფეროვანი საერთაშორისო ძალები: რევოლიუციონური პროლეტარიატი, რომელიც კომპარტიის ხელმძღვანელობით შეურიგებლად იბრძვის კაპიტალიზმის წინააღმდეგ, სოციალ-დემოკრატიული მუშები, რომლებმაც დაჰკარგეს იმედი იმის, რომ მათი ბელადები იბრძოლებენ ომის საფრთხის წინააღმდეგ, კოლონიალური ქვეყნების წარმომადგენლები, წარმომადგენლები ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ორგანიზაციების, გამოჩენილი ბურჟუაზიული მწერლები, სწავლულები, მიუხედავად ამისა კონგრესი წარმოადგენდა ერთსულოვან ანტი-სამხედრო დემონსტრაციას.

პირველად მეორე ინტერნაციონალის 1914 წლის სამარცხვინო ღალატის შემდეგ შეიკრიბა „ნამდვილად მასიური კონგრესი“, რომელზედაც წარმოდგენილი იყო მილიონი მშრომელები (კერძოდ გონებრივი შრომის მუშაკები), რომლებიც გამოხატავდნენ მზადყოფნას ნამდვილად აწარმოონ ბრძოლა იმპერიალისტური ომის საფრთხის წინააღმდეგ, რომელიც იზრდება“ („პრავდა“).

თითქმის ყველა გამოსვლების ღერძს წარმოადგენდა კაპიტალისტური სისტემის გახრწნის, მისი განწირულების აღიარება და გულწრფელი სიმპატიები საბჭოთა კავშირის მიმართ. ინტელიგენციის წარმომადგენელთა თითქმის ყველა გამოსვლებში და მიმართვებში კონგრესისადმი ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ომის საფრთხის აცილება შეიძლება მხოლოდ მტკიცე კავშირში პროლეტარიატთან.

„მომავალი ომის ბედი,—სწერდა თავის მიმართვაში **რომენ როლლანი**, რომელიც ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო კონგრესს,—იმყოფება პროლეტარიატის ხელში. მასზეა დამოკიდებული ჩასახვისთანავე იქნება თუ არა ჩახშობილი იმპერიალისტური ომი. ინტელიგენციის როლი კი გამოიხატება იმაში, რომ მუშათა კლასის პასუხისმგებლობა იმპერიალისტური ომისათვის გახადოს თავის პასუხისმგებლობათ. ამაზეა დამოკიდებული მთელი მსოფლიოს ბედი“.

„სასიკვდილოთ განწირულ მსოფლიოს და ევროპის კაპიტალიზმს სურს თავისი [illegible] ცოცხალი. მაგრამ პროლეტარულ მასებს, რომლებიც მიისწრაფვიან სიცოცხლისაკენ, სურთ და შეუძლიათ ნამდვილად გაუწიონ წინააღმდეგობა ამ დანაშაულებრივ ცდას“,—განაცხადა კონგრესზე ცნობილმა სკანდინაველმა მწერალმა **მარტინ ანდერსენ ნექსემ**.

ამერიკის დელეგაციის წარმომადგენელი პროფ. **დანა** მოუწოდებდა კონგრესს ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით, მან წამოაყენა შემდეგი წინადადებები ომის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად:

„1) განმარტებითი მუშაობა იმპერიალიზმის ბუნებისა და მისგან გამომდინარე ომის შესახებ, 2) ომის წინააღმდეგ ბრძოლა არა სიტყვით, არამედ საქმით, 3) უარის თქმა სამხედრო მასალების დამზადებაზე, 4) იარაღის მობრუნება კლასობრივი მტრების წინააღმდეგ, იარაღის, რომელიც სავალდებულო სამხედრო ბეგარის წყალობით, მუშათა კლასს უვარდება ხელში, 5) ენერგიული ბრძოლა კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგ, რომელიც ომის ძირითად მიზეზს წარმოადგენს“.

სოციალ-დემოკრატიული მუშები გამოვიდნენ სოციალ-ფაშისტ ბელადების მოღალატური პოლიტიკის მხილებით, რამაც უდიდესი აღშფოთება და გაბრაზება გამოიწვია ვანდერველდე-რენოდელებს შორის.

ფრანგ სოციალ-ფაშისტების ორგანო, „პოპულერ“-ი, რომელიც დუმილით უვლიდა გვერდს კონგრესს, იძულებულია დაარღვიოს ეს დუმილი სოციალისტ-მუშების პოზიციის გამო კონგრესზე, პოზიციის, რომელიც მუშათა ფართო მასების გამოფხიზლების პროცესის შემდგომი გაფართოების მაჩვენებელია.

გაზეთი აღშფოთებულია იმით, რომ 274 დელეგატმა სოციალისტმა,

„ვერ ნახა შესაძლებლად ერთი საპროტესტო სიტყვა მაინც ეთქვა წარმოუდგენელი თავდასხმების გამო მეორე ინტერნაციონალზე და მივიდნენ იქამდის, რომ გახდნენ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლის მორჩილი მონაწილე“.

კონგრესმა უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა ყველა ქვეყნებში, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებიც იმპერიალისტური ფრონტის მოწინავე რიგებში იმყოფებიან. მას გაფაციცებით და უდიდესი ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს მშვიდობიანობის როგორც მტრები, ისე მეგობრები. კონგრესის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ საერთაშორისო ყაჩაღების და ომის გამჩაღებლების დანაშაულებრივ განზრახვებს დაუპირისპირდა მილიონების მტკიცე ნებისყოფა, მიმართული მშვიდობიანობის და საბჭოთა კავშირის დაცვისაკენ, კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ. კონგრესმა ნათლად ჰყო პროლეტარიატის გავლენისა და სიძლიერის უდიდესი ზრდა, რაც გამოიხატა ინტელიგენციის ფართო მასების ჩამოშორებაში იმპერიალისტური ბურჟუაზიისაგან და მათ მონაწილეობაში ანტი-სამხედრო კონგრესზე, კონგრესმა გამოააშკარავა აგრეთვე უდიდესი სიყვარული და სიმპატიები საბჭოთა კავშირის მიმართ უცხოეთის მრავალფეროვან წრეებში. ანტისამხედრო კონგრესთან დაკავშირებით უცხოეთში და საბჭ. კავშირში ჩატარებული მრავალრიცხოვანი მიტინგები, კრებები და დემონსტრაციები დამამტკიცებელია იმის, რომ შეუჩერებლად იზრდება იმპერიალისტური ომის მტრების და საბჭოთა კავშირის დამცველთა არმია,

პატელი — ომის საწინააღმდეგო კონგრესის წევრი, ინდოეთის ნაციონალურ კონგრესის ყოფ. თავმჯდომარე

ბურჟუაზია და სოციალ-ფაშისტები კვლავინდებურად ველარ შესძლებენ მასების მოტყუებას. რევოლიუციონური პროლეტარიატის ხელმძღვანელობით ირაზმებიან ძალები, რომლებიც საშუალებას არ მისცემენ იმპერიალისტურ ყაჩაღებს დაუსჯელად დაიწყონ ახალი ომი.

კონგრესის მონაწილეებმა თავის მანიფესტში ფიცი დასდვეს, რომ „ყველა ძალებით, და ყველა საშუალებებით იბრძოლებენ კაპიტალიზმის წინააღმდეგ“.

ეს ფიცი შესრულებული იქნება.

მაქსიმ გორკის იუბილე

საიუბილეო კომიტეტი

მ. გორკის სალიტერატურო ასპარეზზე 40 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავ იუბილეს ჩასატარებლად შესდგა საიუბილეო კომიტეტი შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: ამხ. ფ. მახარაძე (თავმჯდომარე), გ. ყურულაშვილი, გ. სტურუა, მ. ტოროშელიძე, ა. პაპავა, ე. ბედია, გიორგობიანი, ბ. ბიბინეიშვილი, ს. ეული; ნ. მიწიშვილი, მ. ჯავახიშვილი და პროფ. შ. ნუცუბიძე.

კომიტეტის დადგენილებით მ. გორკის საიუბილეო დეკადა საქართველოში იწყება 20 სექტემბერს და გასტანს — 30 სექტემბრამდე.

25 სექტემბერს რუსთაველის თეატრში გაიმართება საზეიმო საღამო, რომელსაც გახსნის ამხ. ფ. მახარაძე.

საბჭოთა მწერლების კავშირს მარქსიზმ-ლენინიზმის ლიტერატურის განყოფილებასთან ერთად, ევალება იუბილესთან დაკავშირებით, სპეციალური მოხსენებების მოწყობა თბილისში, ბათომში, სოხუმში, ქუთაისში და ცხინვალში.

სახელგამს და „ფედერაცია“-ს დაეკისრათ გამოსცენ გორკის რჩეული ნაწერები.

პროფკავშირებმა დეკადის განმავლობაში უნდა ჩაატარონ საღამოები და მოხსენებები მუშათა კლუბებსა და წარმოებებში.

კომიტეტის დადგენილებით გაზეთები და ჟურნალები სპეციალურად გააშუქებენ მ. გორკის შემოქმედებას და მოღვაწეობას.

მზადება მწერალთა კავშირში

საბჭოთა მწერლების კავშირმა შეიმუშავა მ. გორკის იუბილეს ჩატარების გეგმა. საბჭოთა მწერლების კავშირი ახლო მონაწილეობას მიიღებს გორკის იუბილეს აღსანიშნავ საღამოში, რომელიც გაიმართება 25 სექტემბერს რუსთაველის თეატრში.

საიუბილეო დეკადის განმავლობაში საბჭოთა მწერლების კავშირი პროფსაბჭოს კულტგანყოფილებასთან ერთად მუშათა კლუბებში მოაწყობს სპეციალურ საღამოებს, რომელზედაც გაშუქებული იქნება მ. გორკის შემოქმედება და მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

გარდა ამისა, გორკის საიუბილეო საღამოები მოეწყობა ჭიათურაში, სტალინისში და ფოთში.

აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის მწერალთა ორგანიზაციებს დაევალათ ჩაატარონ საიუბილეო დეკადა 20 სექტემბრიდან, დეკადის განმავლობაში მშრომელთა ფართო მასებს გააცნონ მ. გორკის შემოქმედება და მოღვაწეობა სპეციალურ საღამო-მოხსენებათა მოწყობის საშუალებით მუშათა კლუბებსა და წარმოებებში.

წინადადება მიეცა მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებას ასეთივე დეკადა ჩაატაროს ადგილობრივ და ერთი საღამო მოაწყოს ტყიბულში.

22 სექტემბერს მწერალთა სასახლეში გაიმართება მწერალთა საზეიმო სხდომა. სხდომას გახსნის საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარე ამხ. **მ. ტოროშელიძე**.

მოხსენებას წაიკითხავს ამხ. **შ. რადიანი**.

სიტყვებს წარმოსთქვამენ: **ლ. ქიაჩელი, ატრიანი, შ. რადიანი, ტ. ტაბიძე, გ. ნატროშვილი.**

გორკიზე ლექსებს წაიკითხავენ: **გ. ტაბიძე და ს. ეული.**

მსახიობები წაიკითხავენ ადგილებს გორკის ნაწერებიდან.

საიუბილეო საღამოები რაიონებში

რაიონებში საიუბილეო საღამოების ჩასატარებლად მწერალთა კავშირი აგზავნის: სამხრეთ-ოსეთში ამხ. **გ. ბუხნიკაშვილს**, ჭიათურაში—ამხ. **შ. რადიანი**, სტალინისში—ამხ. **კ. მელაძე** და **ი. კო[illegible]**.

მათვე დაევალათ ადგილობრივ მუშათა სალიტერატურო წრეების ჩამოყალიბება.

იუბილეს აღსანიშნავად

მ. გორკის იუბილეს აღსანიშნავად განათლების სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა ერთ-ერთ სკოლას ეწოდოს იუბილიარის სახელი.

გარდა ამისა, განათლების სახ. კომისარიატი ლიტერატურის ინსტიტუტში (მოსკოვში) აწესებს გორკის სახელობის სტიპენდიას.

საქ. საჯარო ბიბლიოთეკაში გაიხსნება მ. გორკის ნაწერების გამოფენა. იქვე გამოფენილი იქნება ლიტერატურა გორკიზე.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი მიძღვნილი იქნება მ. გორკის იუბილესადმი.

სალიტერატურო ტარიფის ათვის

გამოჩენილ ფრანგ პოეტ ხოზე მარია ერედიას ლექსების არც ერთი წიგნი არ გამოუცია, ვიდრე 60 წლისა არ შესრულდა. მთელ თავის სიცოცხლის მანძილზე ის სწერდა ერთად-ერთ წიგნს. ფორმის მეორე ოსტატი, რომელიც ერედიას დონეზე იდგა—იგიც ფრანგი, მხოლოდ ჩვენი თანამედროვე—პოლ ვალერი, არა უმეტესად ნაყოფიერია, ვიდრე პარნასელ ლეკონტდე-ლილის თანამებრძოლი. მომაკვდავი კაპიტალისტური ევროპის უკანასკნელი დიდი მწერალი—ჯემს ჯოისი—ავტორია მხოლოდ ერთი წიგნის—„ულისსი“-ს. ორი სხვა პატარა წიგნაკი, „ულისს“-ამდე დაწერილი, წარმოადგენს ამ რომანისათვის წინასწარ დამუშავებულ მასალას. ამ რომანის შემდეგ კი ჯოისს არაფერი არ მოუცია უკვე ათი წელია. რაღაც ნაწყვეტები, რომელთაც ჩვენ ვკითხულობთ ერთხელ ორ წელიწადში, მხოლოდ იმას მოწმობენ, რომ ჯოის გათავდა. დასწერა შესანიშნავი „ულისსი“ და გათავდა. ის მოკვდა. იმ შემოქმედებითმა მეთოდმა, რომელიც ჯოისმა აჩუქა მსოფლიო ლიტერატურას, მოკლა თავისი შემოქმედი—შეიყვანა იგი ჩიხში. ჩიხიდან კი გამოსავალი ჯოისმა ვერ იპოვა და ვერც იპოვის. იგი დარჩება ლიტერატურის ისტორიაში ერთი წიგნის ავტორად. ბენჟამენ კონსტანმაც მხოლოდ ერთი წიგნი დასწერა. ის შევიდა ფრანგულ კლასსიკის ოქროს ფონდში—მისი სათაურია—„ადოლფ“. არც ბეკფორდს დაუტოვებია ინგლისურ კლასსიკისათვის არაფერი, გარდა თავისი „ვატეკი“-სა. შთამომავლობამ დაივიწყა კონსტანი, როგორც ერთი შემქმნელთაგანი ევროპის საკონსტიტუციო უფლებისა და ახსოვს იგი როგორც „ადოლფ“-ის ავტორი. დავიწყებულია ბეკფორდის შმაგური ესთეტიზმიც და დარჩა „ვატეკ“.

ყოველი ამ მწერალთაგანი აკეთებდა თავის სიცოცხლის საქმეს. და კიდევ ბევრმა სხვა მწერალმა დასტოვა თითო წიგნი — არ ღირს ჩამოთვლა, და ყველა ეს წიგნებიც შევიდა კლასსიკის ოქროს ფონდში. ეს წიგნები არ იყო ხალტურული.

როცა მე დავწერე ეს სიტყვა „ხალტურული“,—სიტყვა გაცვეთილი როგორც შაურიანი, მაგრამ მეტად გამომეტყველი, ჩემთვის ნათელი შეიქნა, თუ რატომ მომაგონდა მე სახელების რიგი—ერედია, ვალერი, ჯოის,—და მაგონდება სულ ახალი და ახალი სახელები.

ჩემ წინ ძევს ქაღალდის პატარა ნაჭერი. იგი, შეიცავს სალიტერატურო ჰონორარების განაკვეთებს, რასაც ღებულობენ საქართველოს მწერლები.

მე მესმის, თუ რისთვის მომაგონდენ ზემოთ აღნიშნული ჯოისები. მე ასე ვსჯელობდი: აი, ჩემ წინ გადევს ჰონორარის განაკვეთები მწერალისათვის, რომლებმაც უნდა იცხოვრონ სამწერლო შრომით. ხომ უნდა წერონ. არა საკანცელარიო ქაღალდები, არა საბანკო ციფრები, არამედ რომანები, მოთხრობები, დრამები, ლექსები. და რამდენი უნდა წეროს ქართველმა მწერალმა, რომ... გამოკვებოს ოჯახი? (უოჯახობა სასურველია, მაგრამ სავალდებულო ხომ არ არის?). შემდეგ: რა უნდა ქნან იმ მწერლებმა, რომელთაც ნაწარმოებთა „ხარისხის“ საკითხი გაუხდიათ თავის სიცოცხლის საქმედ, როგორც... აი, აქ მე მოვიყვანე „ერთი წიგნის“ რამდენიმე ოსტატი.

ცხადია, არავისთვის არ არის სავალდებულო „ერთი წიგნის“ ოსტატად გახდომა. ვერავინ მოსთხოვს ამას მწერალს. მაგრამ ც. კ-ის ისტორიული გადაწყვეტილების შემდეგ, რამაც საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურას ასეთი პერსპექტივები გადაუშალა, ყველას ევალება მისცეს თავის თავს ნათელი ანგარიში იმისა, რომ მწერლის ნაწარმოების ხარისხის საკითხი არის პოლიტიკური საკითხიც, იმდენადვე, როგორც ჩვენს ღუმელებში გამოდნობილ თუჯის ხარისხის საკითხი. სოციალიზმის ასაშენებელი კულტურა მოითხოვს მწერლისაგან ისეთსავე ოსტატობას, როგორსაც იგი მოითხოვს მარტენის ღუმელთან მდგომ ფოლადის მდნობელისაგან. ეს აქსიომატიური რამ არის.

ამდენადვე აქსიომატიურია ის გარემოება, რომ არსებობს მწერლის დატვირთვის ნორმა. ეს ნორმა შემოწმებულია მწერლის მუშაობის სპეციფიკის შესწავლით. ყოველს ქარხანაში არის სატარიფო-სანორმო ბიურო. ამ ბიუროში ყოველს ცნობისმოყვარეს შეუძლია მიიღოს ცნობები იმის შესახებ, რომ დატვირთვის გადამეტება ყოველთვის იძლევა შედეგად წუნდებულ ნაწარმოებს. მწერლების ენაზე ამ წუნდებულ პროდუქციას, როგორც ცნობილია, ეწოდება „ხალტურული ნაწარმოები“.

ცხოვრებამ ზუსტად და მკაფიოდ გვიჩვენა, რომ, ვთქვათ, ბელეტრისტი, ან ლიტერატურის მკვლევარი, რომელიც სწერს თვეში 1 ნახევარ საავტორო თაბახზე მეტს, ე. ი. 60.000-ზე მეტ ბეჭდვითი ნიშანს, — აჭარბებს მაქსიმალურ დატვირთვას. და ეს 1 ნახევარი თაბახიც არ არის საშუალო წლიური ციფრი, ვინაიდან წელიწადში 18 თაბახი მაღალხარისხოვანი პროზის მოცემა არავის არ ძალუძს. ცალკეულ თვეებში შესაძლოა 1 ნახევარი თაბახის მოცემა, მაგრამ წელიწადში 12 თაბახზე მეტის მოცემა შეუძლებელია, უკეთუ ავტორმა მხატვრულ პროზაზე და გამოკვლევაზე იმუშავა დღეში 3—4 საათი და ამდენივე „მასალის დამზადებაზე“, ე. ი. მასალის შემოქმედებით დაპყრობაზე, ვიდრე საწერ მაგიდას მიუჯდება.

ეს იცის ყოველმა მწერალმა.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ უცნობია იმათთვის, ვინც გაატარა ცხოვრებაში საქართველოს მწერლების სატარიფო განაკვეთები.

...უკვე ოთხმა თვემ განვლო ცეკას დადგენილების შემდეგ, საქართველოს გამომცემლები კი ძველებური წესით განაგრძობენ მუშაობას. დაუჯერებელია, როცა მხატვრული პროზის ოსტატის უმაღლესი განაკვეთი უდრის თაბახზე 175 მანეთს! სხვაგვარად რომ ვთქვათ, თვიური ხელფასი უდრის 175—200 მანეთს. ესეც ცნობილ ოსტატისათვის. საშუალო მწერლისათვის კი—150 მ.! ნიჭიერ მწერალს, უკვე გამოსულს სადებიუტო ასაკიდან—ას ორმოცდა ათი მანეთი! ლიტერატურის მკვლევარს კი ასიდან ას ოცდა ათ მანეთამდე! პოეტს საშუალოდ სტრიქონზე 55 კაპ. და დრამატურგს პიესაზე ასი მანეთი!

შექსპირის „ჰამლეტ“-ში 3.200 სტრიქონი ლექსია. უნდა ვიფიქროთ, რომ „ჰამლეტს“ ერთ წელიწადზე ნაკლებ დროში ვერ დასწერთ. არსებული განაკვეთის მიხედვით კი ხსენებულ შექსპირს გადაუხდიდენ თვეში ასორმოცდაათ მანეთს. იბსენის დრამები საშუალოდ შეიცავენ ექვს-ექვს საავტორო თაბახს. საწყალი იბსენი მიიღებდა წლიურ მუშაობაში (ხალტურისათვის დროც აღარ ექნებოდა!) ექვსას მანეთს!

— შექსპირსა და იბსენს,—გვეტყვიან, — ჩვენთან როგორღაც ხელნაწერები არ მოაქვთ. მაგრამ ეს არ შეიძლება გონივრულად ჩაითვალოს. ვინაიდან გამომცემლობათა ამგვარი პოლიტიკის გამო ისინი არც მოიტანენ ხელნაწერებს. არ მოიტანენ სრულიად უბრალო მიზეზით—შექსპირი და იბსენები აღარ იქნებიან. ისინი გახალტურდებიან უფრო ადრე, ვიდრე შექსპირებად და იბსენებად გახდებოდენ.

მთარგმნელები უფრო ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან, ვიდრე მწერლები. მათთან დადებულ ხელშეკრულებებში, რამდენადაც ვიცით, სრულიად არ აღინიშნება გამოსაცემ წიგნის ტირაჟი და ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ეს იმას ნიშნავს, რომ მთარგმნელი წიგნს თარგმნის (ზოგიერთ თარგმანზე [illegible] ობა საჭიროა არა ნაკლებ, ვიდრე ორიგინალურ ნაწარმოებზე), ხოლო გამომცემელს უფლება აქვს გამოსცეს იგი იმდენჯერ, სანამ... სანამ არ დაიღლება. მათ შვილებსა და შვილიშვილებსაც შეუძლიათ ბეჭდონ ეს წიგნი. ერთი სიტყვით, მთარგმნელი უთმობს გამომცემელს არა გამოცემის უფლებას, არამედ წიგნზე თავის საავტორო უფლებას, და უთმობს სამუდამოთ. სხვანაირად რომ ვთქვათ, მთარგმნელების მიმართ საქართველოს გამომცემლებმა თამამად წაშალეს საბჭოთა საავტორო უფლება და უხდიან ამგვარად სამარადჟამო გასხვისებისათვის თაბახზე 50 მანეთს!

იბადება გასაკვირი აზრი, როგორ და მოახერხეს რსფსრ-ის მწერლებმა ისეთი განაკვეთების მიღწევა, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხისათვის ბრძოლას? როგორ მივაღწიეთ ჩვენ განაკვეთებს: მხატვრულ პროზაზე 450-დან 750 მანეთამდე თაბახზე, ლექსის სტრიქონზე—2-დან 4 მანეთამდე (ჟურნალებში კი 8 მანეთამდე), სალიტერატურო გამოკვლევებზე საშუალოდ თაბახზე 250-დან 300 მანეთამდე, ხოლო თარგმანზე—100—150 მ. 5000-ზე არა უმეტეს ტირაჟიან გამოცემებზე? იმით ხომ არ აიხსნება ეს, რომ სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი ჯერ კიდევ ორგანიზაციულად ვერ არის მომაგრებული? თუ ეს ასეა, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული ყოველგვარი ღონისძიება, რათა მწერლის უფლებათა დაცვა და საქართველოს საბჭოთა ლიტერატურის მომავლისათვის ბრძოლა განხორციელებულ იქნეს მწერალთა კავშირის მიერ არა დეკლარაციულად, არამედ რეალურად.

მწერლის უფლებისათვის ბრძოლა—საქართველოს გამომცემლობათა დღევანდელ სატარიფო ცხრილის პირობებში და ბრძოლა ხარისხისათვის, ე. ი. საბჭოთა მწერლობის მომავლისათვის—ეს არის ორი ერთ გვარი მნიშვნელობის ცნება. ეს გასაგები უნდა იყოს ყველასათვის, ვინც კი გაეცნობა ამ წუთს ჩემ წინ მდებარე ქაღალდის პატარა ნაჭერს.

ევგენი ლანნი

ტფილისი, 3 აგვისტო 1932 წ.

გავაცხოველოთ მუშაობა სალიტერატურო წრეებში

პროფკავშირები და ლიტწრეები

საკავშირო პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ დაუგზავნა წერილი პროფკავშირების კულტგანყოფილებებს და ფაბქარხადგილკომებს სალიტერატურო წრეების მუშაობის საკითხზე.

თვითმოქმედი ხელოვნების ოლიმპიადისათვის მზადების დროს გამოაშკარავდა, რომ სალიტერატურო წრეები ჩამორჩენილი არიან და პროფორგანიზაციები სრულიად არასაკმაო ყურადღებას აქცევენ სალიტერატურო წრეების მუშაობას.

საკავშირო პროფსაბჭოს კულტგანყოფილება ფაბქარხადგილკომების და პროფორგანიზაციათა კულტგანყოფილებების ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ საჭიროა გაძლიერდეს ხელმძღვანელობა სალიტერატურო წრეების მიმართ, რომელნიც წარმოადგენენ პროფკავშირთა კულტურულ-მასიური მუშაობის ერთ-ერთ ფორმას.

საკავშირო პროფსაბჭოს კულტგანყოფილება წინადადებას აძლევს ფაბქარხადგილკომებს და კულტგანყოფილებებს:

გამოიკვლიონ სალიტერატურო წრეების მუშაობა საწარმოებში, კლუბებში, ბიბლიოთეკებში, მოისმინონ სალიტერატურო წრეების მოხსენებანი, გაატარონ ღონისძიებანი მათი მუშაობის გაცხოველებისა და წრეების მიმართ კონკრეტული ხელმძღვანელობის გაძლიერებისათვის.

აღრიცხონ არსებული წრეები და მათი შემადგენლობა მუშაობის ძირითადი ფორმების დახასიათებით.

განამტკიცონ სალიტერატურო წრეების ხელმძღვანელთა შემადგენლობა, დააწესონ ხელმძღვანელებისათვის საკმაო გასამრჯელო.

უზრუნველყონ სალიტერატურო წრეები ბინებით მეცადინეობისათვის, სახსრებით, სახელმძღვანელოებით.

დააკავშირონ სალიტერატურო წრეების საქმიანობა სხვა სახის თვითმოქმედ კულტურულ-მასიურ მუშაობასთან (აგიტბრიგადები, დრამწრეები და სხ.) და საფაბრიკო-საქარხნო პრესასთან, ამასთან ხელი შეუწყონ მუშა-ავტორების შემოქმედებითი პროდუქციის გამოყენებას.

განაგრძონ (საკავშირო პროფსაბჭოს დირექტივის თანახმად) დამკვრელთა გაწვევა ლიტერატურაში, რისთვისაც მუშები სისტემატიურად ჩააბან მასიურ სალიტერატურო მუშაობაში, შეარჩიონ და დააწინაურონ მუშა-ავტორები და მოაწყონ სწავლება ლიტერატურით დაინტერესებული მუშებისათვის.

მუშათა სალიტერატურო წრეების შესახებ

ლიტწრეების და დამკვრელ მუშებთან მუშაობის გაღრმავების მიზნით საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა გამოჰყო კომისია, რომელსაც დაევალა წინასწარი ღონისძიებათა დამუშავება პროფკავშირებთან ერთად.

პროფსაბჭ. კულტსექტორში კულტსექტორის გამგის ამხ. შ. გეგენავას თავმჯდომარეობით შედგა ორი თათბირი, რომელზედაც დასახული იქნა გეგმა წარმოებებში მუშათა ლიტწრეების ჩამოყალიბებისა და ხელმძღვანელობის გაწევის შესახებ. წრეების ორგანიზაციული ხელმძღვანელობა დაეკისრა ადგილობრივ პროფორგანიზაციებს. თვითეულ წრეზე მიმაგრებული იქნება პასუხისმგებელი ხელმძღვანელი—ფასიანი მომუშავე. ლიტწრეები იმუშავებენ ისე, როგორც მუშაობენ სხვა თვითშემოქმედებითი წრეები, მაგ. მუსიკალური წრე, დრამატიული წრე და სხვ. საერთო ხელმძღვანელობისა და ლიტერატურულ მუშაობისათვის ლიტწრეებს ექნებათ განსაზღვრული პროგრამა, რომელიც უშუალოთ დაკავშირებული იქნება წარმოების მიმდინარე მუშაობასთან.

მწერლობაში გაწვეული დამკვრელი მუშები გაერთიანებული იქნებიან ლიტწრეებში და შემდეგ მათზე სპეციალური ხელმძღვანელობისათვის დაარსებული იქნება კაბინეტი. კაბინეტის მუშაობა უზრუნველჰყოფს ახალი კადრების აღზრდას და მათზე დახმარების გაწევას მხატვრულ კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

ჯერ-ჯერობით მწერალთა კავშირი საქ. პროფსაბჭოსთან ერთად აყალიბებს რვა ლიტწრეს. რესპუბლიკის თითქმის ყველა მნიშვნელოვან საწარმოებში. წრეებში ჩამოყალიბებულ იქნება: თბილისში ამხ. სტალინის სახელობის სარემონტო ქარხანაში, ტრამვაის მუშათა კლუბში, ტყავტრესტში და მბეჭდავთა კლუბში. რაიონებში: ჭიათურაში, ფოთში, სტალინისში და ტყიბულში. ამასთანავე კავშირის განყოფილებები და ავტ. რესპუბლიკების კავშირები თავიანთი ხელმძღვანელობით ასეთივე პრინციპზე აარსებენ ლიტწრეებს.

წრეების ჩამოყალიბება უნდა დამთავრდეს სექტემბერში, ხოლო ოქტომბერში მოწვეული იქნება დამკვრელი მუშების და წრის წევრთა რესპუბლიკანური კონფერენცია.

თათბირის დადგენილებით გაზ. „მუშა“-მ უნდა გამოსცეს ორკვირეული ლიტერატურული ფურცელი, სადაც დაიბეჭდება დამწყებ მუშა-მწერლების ნაწარმოებები. ასევე უნდა მოიქცენ ადგილებზე რაიონული გაზეთები.

მასიურად დავამუშაოთ ხელოვნების მეორე ხუთწლედი

საქ. განსახკომის ხელოვნებისა და ლიტერატურის სექტორმა შეადგინა ხელოვნების მეორე ხუთწლედის ვარიანტი. გეგმის დასაყრდენ პრინციპს წარმოადგენს ბრძოლა იმ ჩამორჩენილობის აღმოფხვრისათვის, რომელითაც ხასიათდება პირველი ხუთწლედის მანძილზე ხელოვნების მდგომარეობა საქართველოში — სოციმშენებლობის სხვა დარგებში აღებულ ტემპებთან შედარებით. ამიტომ გეგმა ითვალისწინებს რა მეორე ხუთწლედში მშრომელი მასების კულტურულ - საყოფაცხოვრებო პირობებისა და საერთოდ ქვეყნის სამეურნეო ძლიერების უდიდეს ზრდას, სახავს ხელოვნების ყველა დარგებში თვისობრივი და რაოდენობრივი ზრდის ფართო პერსპექტივებს.

თეატრალურ დარგში გეგმა ითვალისწინებს რესპუბლიკის ყველა სამრეწველო და ადმინისტრატიულ რაიონებში მუდმივი პროფესიონალური თეატრის ჩამოყალიბებას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოძრავი თეატრის ქსელის გაშლას. თუ ამჟამად საქართველოში მოქმედებს 4 მოძრავი თეატრალური ერთეული, მეორე ხუთწლედის ბოლოს მოძრავ თეატრის რიცხვი უნდა გაიზარდოს 35-მდე.

აგრეთვე დიდი ყურადღება ექცევა მოზარდ მაყურებელთა თეატრების შექმნას. მეორე ხუთწლედის მანძილზე გეგმით გათვალისწინებულია რესპუბლიკაში 26 ასეთი თეატრის შექმნა. ეხლა კი არსებობს ერთი პროფესიონალური თეატრი მოზარდ მაყურებელთათვის.

[illegible] ითვალისწინებს საანსამბლო ერთეულების ზრდას. ხუთწლედის ბოლოს საქართველოში უნდა იქნეს 3 სტაციონალური სიმფონიური ორკესტრი და 1 მოძრავი — რაიონებისათვის მომსახურეობის გასაწევად.

აგრეთვე ჩამოყალიბდება ეროვნული ინსტრუმენტების ორი ორკესტრი. გათვალისწინებულია რესპუბლიკაში 14 საკონცერტო დარბაზის აგება, რომლებიც საერთოდ დაიტევენ 18.000 მაყურებელს.

რესპუბლიკაში აგრეთვე შეიქმნება 7 საოპერო თეატრი.

სახვითი ხელოვნების დარგში გეგმით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გამოფენათა მოწყობის საკითხს. მეორე ხუთწლედის ბოლოს რესპუბლიკაში უნდა არსებობდეს 13 სტაციონალური და 48 მოძრავი გამოფენა:

მოეწყობა 3 მუზეუმი სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთათვის.

გეგმა ითვალისწინებს **თვითმოქმედი ხელოვნების უდიდეს ზრდა-განვითარებას:** თუ ეხლა საქართველოში არსებობს თვითმოქმედი ხელოვნების 321 წრე, მეორე ხუთწლედის ბოლოს მათი რაოდენობა უნდა უდრიდეს 10.500-ს. ეხლა თვით მოქმედი ხელოვნების წრეებში ჩაბმულია 6.930 კაცი, მეორე ხუთწლედის ბოლოს მასიური თვითმოქმედი ხელოვნების სისტემა უნდა აერთიანებდეს 389.000 კაცს.

განსაკუთრებით გაიზრდება თეატრალური და მუსიკალური წრეების ქსელი. აგრეთვე გათვალისწინებულია სახვითი ხელოვნების [illegible]

მუშათა ლიტერატურულ წრეების რაოდენობა მეორე ხუთწლედის ბოლოს უნდა უდრიდეს 500-ს.

თვითმოქმედი ხელოვნების მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით ტფილისში და ავტონომიურ ერთეულების ცენტრებში დაარსდება თვითმოქმედი ხელოვნების ცენტრალური სახლები, ხოლო სარაიონო ცენტრებში — კი დასაყრდენი პუნქტები. თვითმოქმედი ხელოვნების წრეების ქსელი უნდა გაიშალოს აგრეთვე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. **არც ერთი მოზრდილი წარმოება, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა არ უნდა დარჩეს თვითმოქმედი წრის გარეშე.**

გეგმა ითვალისწინებს მხატვრული პროდუქციის საგრძნობ გაიაფებას.

აღსანიშნავია, რომ ასეთი გაიაფება უნდა მიღწეული იქნეს თეატრზე **დოტაციების შემცირებისა და ბოლოს კი დოტაციების სრულიად მოხსნის პირობებში.** თუ ჯერ ჯერობით ჩვენ კიდევ ვზრდით სახელმწიფო დოტაციას სახელოვნო - სანახაობითი და წესებულებებისათვის, 1932 წლიდან დოტაცია თანდათანობით კლებულობს და 1935 წლიდან ხელოვნება მთლიანად გადადის **თვითგამოსყიდვის ნიადაგზე.**

გეგმა ამ შემთხვევაში ემყარება მხატვრულ სანახაობათა ზრდას და მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების უდიდეს გაუმჯობესების პერსპექტივებს.

მეორე ხუთწლედის განმავლობაში გეგმით გათვალისწინებულია 23 თეატრალური შენობის აგება. ამას გარდა სათეატრო დიდი დარბაზები მოეწყობა კულტურის სასახლეებში, რომელთა აგება განზრახულია რესპუბლიკის ყველა ძირითად სარაიონო ცენტრებში.

ხელოვნების მეორე ხუთწლედის პირველი ვარიანტი შედგენილია იმგვარად, რომ ხელოვნებისა და ლიტერატურის სექტორს **საგეგმო კომისიის მიერ არ ჰქონდა მიცემული სათანადო ლიმიტი და არც არავითარი მეთოდოლოგიური მითითებანი.**

ამავე დროს გეგმა შედგენილია ხელოვნების მუშაკთა მასების ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე. დღემდე ეს გეგმა არ დამუშავებულა ხელოვნების მუშაკთა და მწერალთა არც ერთ კრებაზე.

საჭიროა ამ ნაკლოვანების დაუყოვნებლივ აღმოფხვრა. **გეგმა მასიურად უნდა იქნეს დაუყოვნებლივ დამუშავებული, რაც უზრუნველყოფს გეგმის უფრო** მიზანშეწონილად და რეალურად შედგენას.

მხატვრული მწერლობის განვითარების მეორე ხუთწლედის გეგმის შედგენა დაკისრებული აქვს სახელგამს. დღემდე საბჭოთა ლიტერატურულმა საზოგადოებრივობამ არაფერი იცის ამ გეგმის დამუშავების მიმდინარეობის შესახებ.

მიხეილ ჯავახიშვილი

არსენა მარაბდელი

თავი 18—ნაწყვეტი

ალექსანდრე ჭავჭავაძეს დაუდეგარი ხევსურული სისხლი უჩქეფდა, რომელმაც პირველად მთიულეთის აჯანყების დროს ამოხეთქა. თექვსმეტი წლის ჭაბუკი ჩუმად გაიპარა და ფარნაოზ ბატონიშვილს ეახლა, მაგრამ ვერ იბრძოლეს, დაიგვიანეს და უკანვე დაბრუნდნენ. სპარსეთისკენ მიმავალი ფარნაოზი ქალაქის ქვემოთ მტკვრის ნაპირას დააპატიმრეს, ალექსანდრე კი გმირად ჩასთვალეს და პავლე ციციანოვის რისხვას ძლივს გადაარჩინეს. ორი წლის შემდეგ კახეთის ამბოხების დროს ეკატერინე დიდის ნათლულს აფიცრის მუნდირი ეცვა, უკვე გამოღმელთა რიგებში იდგა და ჭრილობა და ჯილდოც მიიღო. მას შემდეგ მისი ორგულობა აღარ გამოჩენილა. პირიქით, თავგამეტებითაც იბრძოდა ქართულ-რუსულ საქმისთვის, მაგრამ არ დაუფასეს, უკან დასწიეს და თავის მამულსა და ოჯახში შეაგდეს. მას კი არ ძალუძდა მუდმივი ლხინი და მამულის ბატონობა, რადგან ასეთი იყო გვარი მისი: ან რუსებთან მხარ-და-მხარ უნდა ელაშქრა სპარსეთ-ოსმალეთზე და ხიდაგ წინ წაწეულიყო, ან სხვისთვის უნდა მიეცა ხელი და რუსები გაედევნა. თუ ვინმე შეთქმული შეუბედავდა და იოიბულად გადაჰკრავდა ორიოდე სიტყვას, გარსევანის შვილი მუდამ ერთნაირ პასუხს აძლევდა:

— ხელი აიღეთ. შესაძლებელია რუსები გავრეკოთ, მაგრამ ვერ შევიმაგრებთ და ისევ შემოვლენ. ისევ ჩვენს თავადებს მოისყიდიან, ჩვენივე მამულებს დაურიგებენ და ჩვენივე ხელით დაგვიმორჩილებენ.

მაგრამ მხოლოდ მეთაურებმა იცოდნენ, რომ პოეტი და მეომარი ჩუმჩუმად აღვივებდა ამბოხებას. მეთაურებთან შუამავლად, თავის ცოლის ძმა ლუარსაბ ორბელიანი ჰყავდა, რომელიც სამი წლის წინათ გლეხთა აფორიაქების დროს ძლივს გადაურჩა პასკევიჩს. ჭავჭავაძემ ძლივს დაასრულა რთველი წინანდალში, რომ მეთაურებმა სასწრაფოდ დაიბარეს ქალაქში და ახალ-ახალი ამბები უამბეს. მანქანა უკვე მიშვებული იყო, თანდათან სირბილს უმატებდა, საცაა რუსულ კლდეს დაეჯახებოდა და ან გაანგრევდა მას ან თვითონვე დაიმსხვრეოდა.

მაგრამ რაც უფრო მატულობდა მისი სისწრაფე, უფრო მეტად მატულობდა შეთქმულთა სულიერი რყევაც და გულის მჭამელი ეჭვიც. მართლა ადვილად დადნება ფოლადივით ნაჭედი რუსის ჯარი? და რომ კიდევაც დაადნონ და განდევნონ, ვინ გაუძლებს უკანვე მობრუნებულ ზარბაზნებსა და დივიზიებს! ან რომ კიდეც გაუძლონ, რა ძალა დაიჭერს ოსმალებსა და სპარსელებს? ეგვიპტის ფაშას მიერ [illegible] გადმოლახვა მტკნარი ჭორი გამოდგა და შესაძლებელია ასეთივე ჭორი გამოდგეს ინგლისელებისა და ფრანგების დახმარებაც. გამოდგეა კი არა, ესეც ნამდვილი ჭორია, უეჭველი სიყალბეა, უსირცხვილო ტყუილია, რომელიც ზღვა სისხლს შეიწირავს და ქორის ფრთების კვალივით გაჰქრება. წადი და სდიე შემდეგ სეხიხოს, ლეტელიეს, ყველა წამქეზებელსა და მათს ნაბოდვარს!

ეს ჭია ყველას უზის გულში და ნდობის ყოფას უდუხებს, რწმენას ულრღნის და სადღაც ჯურღუმელში უხილავი ვინმე შკვნესის—დავმარცხდებითო, მაგრამ ვინ არის ვაჟკაცი, რომ ამ ვიღაცას ხმამაღლა ათქმევინოს სათქმელი, რომ სიმართლე გაიაშკარაოს და უიმედო სისხლი აღკვეთოს, აკოჭოს, ალაგმოს! ყოველი შეთქმულთაგანი მრავალჯერ შესცქეროდა პირისპირ სიკვდილს და არ შეშინებულა, ეხლა კი უფრო ადვილად აეგებოდა ხანჯლის წვერზე, ვინემ თავის ნაჩუმარ ეჭვის გაამჟღავნებდა.

ვერც გაამჟღავნეს. პირველი ვადა—ოცი ნოემბერი—მშვიდობით მოვიდა და მშვიდობითვე წავიდა. მას მოჰყვა და მიჰყვა მეორე ვადაც—ოცდახუთი ნოემბერი. თავადაზნაურთა ყრილობა გაჭიანურდა და აფეთქების დღეც დეკემბრისთვის გადასდეს. ეს დღე კი ულმობელად მოალოჯდაბა, ბრაა დევივით მოიწევდა, ჰაერი ხარიბუნით იელინთებოდა, შეთქმულთა სულიც დღითი-დღე ჰბერავდა ხუფს, საცაა აგლეჯდა მას და ვიღაცას დალეწავდა.

მეთაურებს შიშმა შეიპყრო: ალექსანდრე ორბელიანის და ალექსანდრე ბატონიშვილის მიწერ-მოწერის ამბავი ბორჩალოდან ქალაქში ჩამოეხნავს და იმის ნაცვლად, რომ ჩვენ დავაპატიმროთ როზენი, თვითონ ის დაგვაპატიმრებსო. გარდა ამისა იმ ცნობას გუბერნატორის ხელში უნდა გაევლო და საჭირო იყო მისი მიჩქმალვა და დროზე გაშიშვლება ხანჯლისა. ფალავანდიშვილს შესაძლოა „იმ ღამეს“ წინააღმდეგობა გაეწია მათთვის და თავის ძმას იესეს ან სხვა ვინმეს შემოჰკდომოდა—შემოჰკდომოდათ მომავალი ფინანსების მომავალი მინისტრი! ამისა და კიდევ რამდენიმე მოსაზრების გამო ალექსანდრე ჭავჭავაძეს დაავალეს—და იმანაც იკისრა—ნიკო ფალავანდიშვილი გაეფრთხილებინა და მოზიარედ გაეხადნა.

გუბერნატორი ფალავანდიშვილის სახლი ქაშვეთის გასწვრივ იდგა კუთხეში. ცხრა დეკემბერი იყო და ზამთრის გრილი მზე უკვე მთაწმინდას დაჰფუდებიყო როცა ამ სახლიდან ნიკოლოზისებური ქურქ-მოსხმული ჭავჭავაძე გამოვიდა და ერთი წუთით შესდგა თავის ეტლის გვერდით. პირსახეზე მჭმუნვარე რამ აზრი ან სინანული ეწერა და თითქო არ იცოდა საით წასულიყო. რა გაახსენდა მერმე, რომ შინ ლუარსაბი უცდიდა, სწრაფად ავიდა ეტლში და შინისკენ გასწია.

გუბერნატორი და სიყრმის მეგობარი ნიკო ქვემო კარამდე გამოჰყვა მას და ერთხელ კიდევ უთხრა ღიმილით:

— მაშ ასე: მოვიფიქრებ და პასუხს მაზეგ მოგახსენებ. ჩემ მაგიერ ხელზე ემთხვიე კნეინა სალომეს და საწყალ ქვრივს ნინოს. ნახვამდის, ჩემო კეთილო.

და სტუმარი რომ გავიდა, ნიკოც შესდგა, შუბლი შეიკრა, შემდეგ მალი ნაბიჯით ავიდა ზემოთ და კიბის ბაქანზე მდგომ მსახურს მიუგდო:—წადი იას დამიძახე. ჩქარა!

მისი ძმა იესე იქვე ფლიგელში ცხოვრობდა და ხუთიოდე წუთის შემდეგ ამოვიდა. მას ტყავი [illegible] და ყალმუხის ქუდი ეხურა. გუბერნატორს კი სერთუკი ეცვა, ბრაზიანი ნაბიჯით დადიოდა ოთახში და ხან იატაკს დასცქეროდა და ხან ჭერს აშტერდებოდა.

ია შესდგა და შეკრთა, რადგან კარგად იცოდა ძმის ხასიათი. შეკრთა იმიტომ, რომ ალექსანდრე ეს-არის ეხლა გავიდა აქედან და ესეც უკვე იცოდა. ნიკო კი ისევ დადიოდა, თითქმის დარბოდა და თავის ძმას არც კი ამჩნევდა. შემდეგ გაჯავრებით ჩაჰკეტა კარი, ზედ მიასკდა იას, მაჯაში ხელი სტაცა, თვალი თვალში გაუყარა და ჩააშტერდა.

— რა იყო... რა დაგემართა?—შიშნარევი ხმით ჰკითხა იესემ.

— შენ... შენ უნდა მომკლა? შენ უნდა გაჰყარო აქედან რუსის ჯარი? შენ უნდა დაამარცხო ქვეყნის მძლე იმპერატორი?—მიაყარა გუბერნატორმა.—სთქვი! რას გაჩუმებულხარ! სთქვი მეთქი!

— მე... მე და შენი მკვლელი?—მკვდარივით გაიღიმა იესემ,—აბა რა... რა დასაჯერებელია! ხუმრობით თუ ვიტყოდი.

— თქვენ ცეცხლსა და სისხლს ეხუმრებით. მეტი საქმე არა გაქვთ და ტახტს მიადექით?—ნიკომ ძმის მაჯას ხელი გაუშვა, ორივე ხელით მისწვდა მხრებში, შეანჯღრია და მიმხრჩავი ხრიწინით ჩაუსისინა:—ბედოვლათებო! ნაცარქექიებო! ტუტუცებო! რამ გაგაგიჟათ! ვინ გამოგილაყა ეგ უბადრუკი თავები! რუსის ჯარს თქვენ კი არა, ხუთი სახელმწიფოც ვერას დააკლებს. ნუ თუ აქამდე ვერაფერი დაინახეთ და ვერა გაიგეთ რა? ოსმალეთი თქვენს თვალწინ შემუსრეს, სპარსეთი დაარბიეს, პოლონეთი შეჰბოჭეს, ნაპოლეონიც კი დაიფრინეს და თქვენ... ახა-ხა! რა მასხრები ყოფილხართ!.. ღმერთო ჩემო... არა, მოდი და ნუ გაიცინებ,

— ნუ იცინი,—წაილუღლუღა იესემ და მუხლმოჭრილი, ჩაჯდა სკამზე,—ნუ იცინი მეთქი. შენ საქართველოს დასცინი, შენ...

— ვიცი, ეხლავე ვიცი რასაც იტყვი. შენზე მეტი მე მინახავს, წამიკითხია, გამიგონია და თქვენზე მეტადაც მიყვარს სამშობლო, მაგრამ...

იესემ ღიმილი აიგრიხა და მხრები აიყარა. ნიკომ კი მხარზე ხელი დაადო, დაიხარა და ცხარედ განაგრძო:

— გაჩუმდი და ყური მიგდე, ზოგი ექიმი ნამეტანი სიყვარულით და ყბედობით ავადმყოფს მოჰკლავს, ზოგი კი ხმაგაკმენდილი მოუვლის და ფეხზე დააყენებს. თქვენ კი გინდათ ჩვენი ხალხი სისხლით დასცალოთ და მერმე თავი იმართლოთ, მისი განკურნება გვინდოდაო? ამგვარ ექიმს ჩამოხრჩობის მეტი ვერა არგებს რა.—მაგიდას ხელი დაჰკრა და ისეთი ხმით წამოიძახა, რომ მის მსმენელს, ისედაც გაფითრებულსა და მრთოლვარეს, ყინულმა ჩაურბინა სისხლში:—დიაღ, თქვენ ჩამოხრჩობის ღირსი ხართ და კიდევაც ჩამოგახრჩობენ! ჩამოგახრჩობთ მეთქი!

ორჯერ-სამჯერ ჩაირბინა ოთახი, შემდეგ შესდგა, სანთლებს მოუკიდა, თავჩაქინდრულ ძმას აჰხედა, წინ ჩამოუჯდა, ლმობიერად ჩამოართვა ხელი და ლმობიერივე ხმით უთხრა:

— ჩხუბი არაფერს არ გვიშველის. ჩვენ ერთი მუცლისანი ვართ და ერთგულად უნდა გავიტანოთ ერთმანეთი. ძმა ძმისთვისაო, ამ დღისთვისაო. დავივიწყოთ რაც აქამდე უსიამოვნება გვქონდა და ერთმანეთს ვუშველოთ, თორემ სხვა ვინმე მშველელი ჩვენ არავინ არა გვყავს. ეს არის ეხლა თქვენგნით მოგზავნილი კნიაზი ალექსანდრე იყო ამ ოთახში. ორი საათს მესაუბრა და ყველაფერი მითხრა. მაგრამ ძალიან აღელვებული იყო და დალაგებით ვერ მიამბო. ეხლა შენ გამაგებინე, ვინ დაიწყო, როდის, რა გააკეთეთ და როგორ აპირებთ ამ საქმის მოგვარებას.

იესე ოდნავ მოცოცხლდა, თავჩაღუნულმა დაიწყო და თავაწეულმა განაგრძო, მაგრამ ხმა ველარ იპოვა და ისევ მოდუნებით ლუღლუღებდა. ნიკომ თავის თვალები ბოლომდე არ ამოიღო მის გულიდან და დროგამოშვებით შეელოდა:

— მაშ მელნიკოვიც ურევია? პაუშენკოც ჩაითრიეთ? კონსულებმა მაგრე შემოგითვალეს? კიდევ რა დააბარა მოლა ზამანს ალექსანდრემ?.. აგრე.. მესმის.. ხომ არაფერი დაგავიწყდა?

და როცა თავის ძმა დაპირქვავებული კოკასავით დააცალიერა, მუხლზე ხელი დაადო და უთხრა:

— ეხლა მეც გეტყვი ერთ საიდუმლოებას. არლოვს ხომ იცნობ? იმას ასიოდე მოენე ჰყავს ბორჩალოში. ზოგი მათგანი ჩვენი დოსტიც არის და აქედანაც იღებენ ჯამაგირს. დღეს საღამო ჟამს ერთ-ერთ მათგანს შევხვდი და მითხრა: მთელმა ბორჩალომ იცის, რომ რამდენიმე დღეში აჯანყებამ უნდა იფეთქოსო.

იესე შეკრთა და ფერი [illegible] უარესად ეცვალა.

— დაიცა, მათქმევინე. მე ვკითხე, არლოვმაც იცის მეთქი? იმან მიპასუხა: ჯერ არა, ალბათ თქვენ მოგახსენით და იმას დღეს საღამოს ვეახლებიო. ეხლა ხომ გესმის? გაიგე რა მახეში გაებით?

იესეს აღარა ესმოდა რა. ტვინი აუდუღდა, სისხლი აერია და ცივი კანკალი აუვარდა.

— მე მივხვდი, რომ ამ საქმეში შენი ხელიც უნდა რეულიყო და მინდოდა მაშინვე დამეძახებინე, მაგრამ კნიაზი ჭავჭავაძე შემოვიდა და დრო წამართვა.—ძმას თმაზე ხელი გადაუსვა და ისევ ჰკითხა:—გესმის მეთქი რა მახეში გაებით?

— მესმის.—ქურდობაზე დაჭერილი კატასავით ჩაიკნავლა შეთქმულმა, რომელსაც ის წამს ერთი სახრჩობელას მაგიერ ასი თუ ათასი უტრიალებდა თვალწინ.—მესმის, მაგრამ..

მაგრამ ცხადზე-უცხადესი იყო, რომ მას აღარც რაიმე ესმოდა და არც ნებისყოფის ნატამალი შერჩენოდა. მოშვებული, პირდაღებული და თვალგაყინული მიშტერებოდა ძმას და უსიტყვოდ ეკითხებოდა: რას მირჩევ? რა იქნა? როგორ მოვიქცე? „უჭკვიანესი ქართველიც“ ამას და ელოდებოდა.

— მეტი გზა არა მაქვს, უნდა დაასწრო ჩაუღვარა მან პირველი წვეთი.

— რაო? დავასწრო? ვის დავასწრო?

— იმას, მოენეს, არლოვს.

— ჰო, მართლა, უნდა დავასწრო.—ისე ამოიხვნეშა იესემ თითქო ფილტვებიც ამოატანაო და წამოდგა.—აგრეა.. მეტი გზა არ არის.. მე თვითონ უნდა დავასწრო, თორემ..

— თორემ ის დაგასწრობს და.. და ათასი საუკეთესო ქართველი დაიღუპება.

— რა თქმა უნდა.. მაგრამ..

— ია, ნუ გეშინიან, შენი სახელი მე მომანდე. ყველას ავუხსნი და დავაჯერებ, რომ შენ უბრალო ხარ.

— უბრალო ვარ, ღმერთი, რჯული, უბრალო ვარ და ავად ნუ მომიხსენებენ—ცრემლნარევი ხმით სთქვა იესემ.

— ნუ შეშინდები მეთქი

— ვაი მე დედავ!—და დარეტიანებულივით აბორიალდა.

— რა უბრალოდ ვიღუპები! რამდენ პატიოსან ქართველს გამოეჭრება ყელი!

— ნუ, ია, მაგას ნუ ამბობ,—მიაშველა სულიერი მისაბჯენი გუბერნატორმა და ხელი-ხელს გაუყარა,—მაგას ნუ ამბობ მეთქი. შენ შენს თავსაც გადაარჩენ და იმ ხალხსაც უშველი თუ დაასწრებ და მოინანიე, იმ ხალხსაც მისცემ შეღავათს და შენც გადარჩები.

— გადავრჩები? ია ოხრად მინდა გადარჩენა! ნეტა ჩამომახრჩობდნენ და მეტი არა მინდა რა.

— ნუ მიჰქარავ მეთქი!—ძმურად მოუღბო ხმას ნიკომ.—არაფერიც არ იქნება. გადაგასახლებენ, იქ სამსახურს მოგცემენ, ხუთიოდე წლის შემდეგ დაგაბრუნებენ და ისეთ წარჩინებაში შეხვალთ, რომ ეს ამბავი საზმრადაც ძლივს მოგეჩვენებათ. ჩემი სიტყვა დაიხსომე და, თუ არ გამართლდეს, საქვეყნოდ შემარცხვინე. ოღონდ... ოღონდ გონიერება უნდა მოიკრიბო და არლოვს დაასწრო, თორემ..—და ისევ თვალებში ჩააშტერდა.

—ვის.. ვისთან უნდა მივიდე?—მომაკვდავივით ამოისუნთქა იესემ.

— გენერალ ვოლხოვსკისთან მიხვალ ზრდილობიანი კაცია და ყველაფერს ადვილად გაიგებს, წერილსაც მიგიწერ. თუმცა,—და ერთ წუთს ჩაფიქრდა,—თუმცა ისე ემჯობინება: მე თვითონვე გამოგყვები. მაშ ნუ შეშინდები, აბა, წავიდეთ.. ოღონდ ნუ შეშინდები.. სულაც ნუ შეშინდები.., მე მომენდე და არ ინანებ.. არც ისინი ინანებენ.

რუხი ქურქი მოისხა და ფეხარეული ძმა კიბეზე ჩამოიყვანა, ბიჭი ფარნით დაედევნა, მაგრამ ნიკომ გააბრუნა და ძმას უთხრა:

— შენ წინ წადი და მეც ნელნელა მოგყვები. ბინდში იარე.. არ დაგვინახონ გული გაიმაგრე.

ათიოდე წუთის შემდეგ იესე ქურდივით შეიპარა მთავარ შტაბში. ნიკოც მაშინვე შევიდა და გენერალი იკითხა. შტაბის გამგე ვოლხოვსკი კაბინეტში იჯდა და მუშაობდა.

— ძალიან სასწრაფო და საჭირო საქმისთვის გეახელით და გთხოვთ მოახსენოთ.—უთხრა ნიკომ ადიუტანტს და იესეს მოუბრუნდა:—ოღონდ ხმა-კრინტი არ დასძრა სხვაგან, რომ მე განახე და მე მოგიყვანე, თორემ.. ჩემი იმედი გქონდეს.. დაგეხმარები.., გიშველი.

— მიბრძანდით.

— თქვენო მაღალაღმატებულებავ,—ეუბნებოდა ქლესა ხმით შტაბის გამგეს მისალმებისა და დაბრძანების შემდეგ გუბერნატორი,—მე და ჩემი ძმა იმპერატორისადმი ერთგულებამ და სამშობლოსადმი სიყვარულმა გაგვაბედვინა თქვენი უდროო შეწუხება. ამ კაცს უდიდესი და უპატიებელი ცოდვა ჩაუდენია და ჰსურს წრფელი გულით მოინანიოს. მეც დავეხმარე, შევაგნებინე და.., და ეხლა ნება მიბოძეთ გეახლოთ. ჩემი აქ ყოფნა საჭირო აღარ არის, ოღონდ ერთი სათხოვარი უნდა გკადროთ და იმედია შემისრულებთ: საჭირო არ არის გაიგოს ვინმემ გარდა უზენაესი მთავრობისა, რომ ჩემი ძმა მე თვითონვე მოგიყვანეთ. დანარჩენს თვითონ ჩემი ძმა მოგახსენებსთ, რომელიც.. ღმერთმა დასაჯა და ძმად მარგუნა.., გარეთ იცდის და ეხლავე გეახლებით,—ცრემლი მოიხოცა, გენერალს გამოესალმა, ოთახიდან გამოვიდა და კედელზე ატუზულ ძმას უთხრა:

— ყველაფერი მზად არის.., გენერალი გიცდის და შედი.

იესე გასაქცევად მოსხლტა:

— არ შემიძლიან! ვერ შევალ!

ნიკომ ხელი სტაცა და მოატრიალა.

— რამ გაგაგიჟა?! შედი მეთქი!—თან ხელს ჰკრავდა კარებისკენ და გაბრაზებით ეუბნებოდა:—შედი მეთქი! ხომ არ შეგჭამს. სირცხვილია, რას იტყვიან! შედი, შედი მეთქი!

— ნიკო, რას მიშვრები? ძმა ხარ და შემიბრალე.

სალახმა არ შეიბრალა და ღვიძლი ძმა დასაკლავი ხარივით შეუგდო გენერალს. შეუგდო და რომის იმ სენატორივით გამოცდა გარეთ, ვინც ეს არის ეხლა უზენაესი ვალი მოიხადა თავის სამშობლოს წინაშე.

გამოვიდა და ერთი წუთით ტოგას მაგივრად ოქრომკედით მონაქსოვი რუსული სასენატო მუნდირი მოელანდა. იქ კი, შინით, გენერლის წინაშე მისი ღვიძლი ძმა შეტორტმანდა, გულწასულივით დაეშვა სკამზე და შიშით და კაეშნით სავსე თვალები იატაკს ჩააბჯინა.

— აბა, დავიწყოთ—ინება ბოლოს გენერალმა

და შეთქმულთა მეთაურმაც ხრიწინით, სლოკინით, ბორძიკით და კნავილით დაიწყო.

ერთი საათის შემდეგ მანამდე მიყუჩებულმა შტაბმაც დაიწყო გამოცოცხლება, ხოლო შუაღამისას ისე აიბურძნა თითქო ომი დაიწყებულიყო. ბნელ ქუჩებში ცხენოსანი ყაზახები დაჰქროდნენ, ნამძინარევი აფიცრები შტაბისკენ გამორბოდნენ, ბრძანებას ისმენდნენ, აქიდან სალდათებისა და ჟანდარმების მცირე გუნდები მიჰყავდათ და იქიდან დაპატიმრებული ორბელიანები, ერისთავები, ყველა მეთაურები და მათი მოზიარენიც მოჰყავდათ.

იმ დღიდან ქალაქსა და სოფელსაც ციება შეუჩნდათ და სისხლში შემზარავი ჟრუანტელი უვლიდათ. ბნელ ქუჩებში ღამღამობით ფარნების ციმციმი მოსჩანდა და ყრუდ გაისმოდა მძიმე ჩექმების ფლატუნი და ზოგჯერ კი მაღალი ტირილიც და ყრუ კივილიც: „მიშველეთ!“

მოვიდა ჟამი გახკითხვისა და მშველელი კი არსად იყო—არც მაჰმად ფაშა ეგვიპტელი, არც ალექსანდრე სპარსელი და არცა ხომალდები ფრანგული და ინგლისური.

შეთქმულებს ყაზარმებად გადაიქცა და ყაზარმის ზემო სართულში ისევ ორთავიანი არწივი იჯდა, რომელმაც თავის შემმართებელ მიჩნიოს ფრთები მოსტეხა, ჭანგები დააჭრა და იქვე ბნელ სარდაფში ჩაამწყვდია.

სოლომონ რაზმაძე, თავრიზიდან ამოიყვანეს, გრიგოლ ორბელიანი რუსეთიდან ჩამოიყვანეს, ხოლო ფილადელფოს ბერის შესაბოჭავად თვითონ ეგზარქოსი მოსე ბოგდანოვ-პლატონოვი გაიქცა შუამთაში და თან პოლკოვნიკი არლოვი და ჟანდარმები წაიყვანა. ბერს ლოცვა შეაწყვეტინეს და ჩხრეკას შეუდგნენ. ორჯერ გადააქოთეს მონასტერი, შესამეჯერაც მოჩხრიკეს და სადღაც ჭერში ფიცრებსა და აგურებს შუა აქტი გონიერი, პროკლამაციები და კრიპტოგრაფიული წერილები იპოვეს. აღშფოთებულმა მაღალუსამღვდელოესობამ ფილადელფოსს კუნკული მოჰგლიჯა, ანაფორაში მისწვდა და მათ შორის ნამდვილი ჭიდილი გაიმართა.

— გაიხადე, სატანავ!—ჰკიოდა მოსე და ანაფორას აგლეჯდა.

— ხელი გაუშვი, მოთრეულო! ეს ჩოხა ანტონ კათალიკოსმა მიკურთხა და შენ ვინა ჰგდიხარ?!

არლოვი მხიარულად იფშვნეტავდა ხელებს და ბერის დაპატიმრებით აპირებდა თავის მარცხის ანაზღაურებას. მარცხი კი აშკარაზე-აშკარა იყო: ასეთი დიდი შეთქმულება არლოვმა კი არ აღმოაჩინა, იგი თავისთავად გასკდა და მას, წესიერების გუშაგს, მანამდე მოსალოდნელი საგენერლო საბეჭურების ნაცვლად ახალი დაქვეითება მოუტანა.

— ანაფორა გაიხადე მეთქი!

— შენ ვინა ჰგდიხარ მეთქი! აქედან გაეთრიე!

მცირე ხნის შემდეგ თვითონ ბერი ეგდო შებოჭვილი იქაურ ურემში და თვითონ მას მოათრევდნენ ქალაქისკენ. ფილადელფოსი პირქვე იწვა, ჩუმად სტიროდა და ჰფიქრობდა დაემტკიცებინა ქალაქში, რომ ეგზარქოსებს, არლოვებსა და ბარონ როზენებს უფლება არა ჰქონდათ ანტონ კათალიკოსის მიერ ნაკურთხი ჩოხა გაეხადათ მისთვის.

ვერ დაუმტკიცა,

26

იანკა კუპალას იუბილეი

10 სექტემბერს, ბელორუსიის სატახტო ქალაქ მინსკში, გაიმართა ბელორუსიის გამოჩენილი პოეტის იანკა კუპალას დაბადებიდან 50 წლის თავის აღსანიშნავი იუბილე.

ი. კუპალა დაიბადა 1882 წელს. მამა მისი იყო მიწის მუშა. პირველ დაწყებითი სწავლა დაიწყო პოლონურ ენაზე; რუსული ისწავლა თავის ძმისაგან. შემდეგ ის სწავლობდა სოფლის სახალხო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 15 წლისამ. 1901 წლამდე ეწეოდა დამოუკიდებელ გლეხურ მეურნეობას, შემდეგ მუშაობდა შავ მუშათ და იმავე დროს მონაწილეობას იღებდა ბელორუსიის ნაციონალ - ლიბერალურ გაზეთ „ნაშა ნივა"-ში.

1909—1913 წლამდე ი. კუპალა სწავლობდა ჩერნიაევის საერთო განათლების კურსებზე პეტერბურგში. 1911—1915 წ. რედაქტორობდა გაზეთ „ნაშა ნივა"-ს, რომელიც გამოდიოდა ვილნოში. 1919 წლიდან მუდმივად ცხოვრობს მინსკში. ამ ჟამად ის არის აკადემიკოსი ბელორუსიისა და უკრაინის სამეცნიერო აკადემიების.

1925 წელს სალიტერატურო მოღვაწეობის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ბელორუსიის სოც. საბ. რესპუბლიკის მთავრობამ კუპალას მიანიჭა სახალხო პოეტის სახელწოდება.

ლიტერატურული მოღვაწეობა კუპალამ დაიწყო 1905 წლიდან. მისი პირველი პერიოდის შემოქმედების თემა არის—ღარიბი გლეხი, რომელიც განიცდის ათასგვარ გასაჭირს და გაბოროტებულია გარემო სინამდვილით. ის ღარიბ გლეხს უპირისპირებს მემამულე - ექსპლოატატორს და პოლიციელს.

მაგრამ კუპალას პოეზიაში, რომელიც წარმოშობილია მემამულე და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მუშათა და მოწინავე გლეხობის რევოლუციონური ბრძოლის პერიოდში, მაინც არ არის მოწოდება ბრძოლისაკენ. კუპალას შემოქმედებაში ისმის ჩივილი გლეხის უმწეო მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ეს ჩივილი თითქმის მოწოდებაა მქონებელ კლასებისადმი, რომ „შეიცოდონ გლეხი"; ხანდახან კი მის შემოქმედებაში ისმის ისტერიული პროტესტი გლეხების შევიწროებისა და გაჩანაგების წინააღმდეგ. კუპალას არა აქვს უკეთესი მომავლის მტკიცე რწმენა. ამ პირველ პერიოდშივე მოსჩანს კუპალას ძირითადი ტენდენციები, ის მოითხოვს ღარიბ გლეხ-ბელორუსიელის ნაციონალურ განთავისუფლებას.

მეორე პერიოდი კუპალას შემოქმედებისა, ხვდება რევოლუციის შემდეგი რეაქციის პერიოდს. უიმედობამ და სულმოკლეობამ, რომელიც გამეფებული იყო წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციაში, რომელთა შორისაც ტრიალებდა პოეტი, საგრძნობი გავლენა იქონია მის შემოქმედებაზე.

1909—1910 წ., როცა ბელორუსიაში ხდება წვრილ-ბურჟუაზიულ ნაციონალისტური მოძრაობის აღორძინება, პოეტი სძლევს დაცემულობის განწყობილებებს. ამ პერიოდში კუპალა გამოირჩევა „ნაშენივცების" შორის, როგორც ამ მიმდინარეობის წვრილ-ბურჟუაზიულ - დემოკრატიული ტენდენციების გამომხატველი, წინააღმდეგ მისი ლიბერალურ - ბურჟუაზიული ფრთისა.



მაინც კუპალას პოლიტიკური იდეალები ვერ სცილდებიან „ნაშენივცების" ნაციონალიზმისა და ბურჟუაზიულ დემოკრატიზმის ჩარჩოებს. შემდეგ—ბელორუსიაში რევოლუციონურ - პოლიტიკური მოძრაობის გაცხოველების ზეგავლენით—კუპალა თავის პოეზიაში უფრო მეტად ემყარება ხალხის „დაბალ ფენებს", რომელთა ბრძოლასთან პოეტი აკავშირებს თავის იდეალების შესრულებას, კუპალა ხდება რევოლუციონურ - დემოკრატიულ, ნაციონალ - განმათავისუფლებელ ბელორუსიულ მოძრაობის გუსლიარად და სახალხო პოეტად. ამავე ხანას ეკუთვნის მისი დრამატიული ტალანტის აყვავებაც, რომელიც გაჟღენთილია ღრმა სოციალური პროტესტით, როგორც მემამულეთა, ისე კაპიტალისტების წინააღმდეგ (მაგ. „რასკიდანაე გნიაზდო").

მაგრამ შემდეგ ხანებში კუპალა თანდათან მეტად უახლოვდება „ნაშენიველების" ნაციონალ - ლიბერალურ იდეოლოგიას. შემოქმედების მოწოდებითი ხასიათს სცვლის წარსულის რომანტიული იდეალიზაცია.

ასეთი განწყობილებით შეხვდა კუპალა 1917 წ. რევოლუციას. რევოლ. შემდეგ დაწერილ პირველ ლექსებში ის იმყოფება ბელორუსული ნაციონალიზმის ტყვეობაში. ეს ხანგრძლივი და ავადმყოფური პერიოდი კუპალამ დაამთავრა აქტიურ-ნაციონალისტური დრამით „ტუტეიშია" (1922 წ.). მაგრამ შემდეგ კუპალა თანდათანობით დაუახლოვდა საბჭოთა სინამდვილეს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული მისი ნაწარმოებები ეხლაც ხშირად ატარებენ ნაციონალ - დემოკრატიულ იდეების გავლენას.

პოეტური ტექნიკის მხრით, ენის დაწმენდილობით, თემების სხვადასხვაობით, ხალხური ზღაპრების და ბილინების, ოსტატური სტილიზაციით კუპალას ბელორუსიის ლიტერატურაში ტოლი არ ყავს.

კუპალას შემოქმედებას დიდი გავლენა ჰქონდა ოქტომბრის შემდეგ გამოსულ პოეტების თაობაზე. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კუპალას პოეტურ მოღვაწეობას ბელორუსულ ლიტერატურულ ენის განვითარებისათვის. კუპალამ ხალხური ენის ზედმიწევნით ცოდნის საშუალებით შექმნა აუარებელი ნეოლოგიზმები, რომელნიც ბუნებრივად შეესისხლხორცებ ენას და გაამდიდრეს იგი.

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის მისალმება

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირმა ბელორუსიის სახალხო პოეტს იანკა კუპალას გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი მხურვალედ ესალმება ბელორუსიის სახალხო პოეტს იანკა კუპალას დაბადებიდან 50 წლის შესრულების აღსანიშნავ იუბილეს გამო.

კუპალას მოღვაწეობა წარმოადგენს ოქტომბრის რევოლუციამდე მომქმედ ხელოვანთა გარდაქმნის საუკეთესო ნიმუშს, რომელიც მთლიანად მიმართულია პროლეტარიატის სასარგებლოდ.

ვუსურვებთ ხანგრძლივ შემოქმედებით მუშაობას მოძმე ბელორუსიის სახალხო პოეტს".

საბჭოთა მწერლების კავშირში

4 აგვისტოს შესდგა საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1) ოქტომბრის რევოლუციის 15 წლის თავის დღესასწაულისათვის მზადების შესახებ, სხდომამ დაამტკიცა წარმოდგენლი გეგმა და დაადგინა დაევალოს სახ. გამომცემლობას და „ფედერაცია"-ს ერთ კვირაში წარმოადგინონ მასალები მათი სამზადისი მუშაობის გასაცნობად.

2) მაქსიმგორკის იუბილეს ჩასატარებლად მასიური სექტორის მიერ დასახული ღონისძიებანი დადასტურებულ იქნა.

3) კომკავშირის 15 წლის თავის აღსანიშნავად იუბილეში მწერალთა მონაწილეობის კონკრეტული გეგმის შემუშავება დაევალა მასიურ სექტორს.

4) ბუდიონურ ლაშქრობაში საბჭოთა მწერლების კავშირის მონაწილეობის გეგმა დამტკიცებულ იქნა. ლაშქრობაში აქტიურად ჩაბმის მიზნით პრეზიდიუმის დადგენილებით ლაშქრობის ჩამტარებელ ამიერკავკასიის შტაბში წევრად გაიგზავნა ამხ. **ბ. ჟღენტი**, ხოლო რესპუბლიკანურ შტაბში—ამხ. **მიხ. ჩიქოვანი.** მესაქონლეობის რაიონებში, ლაშქრობასთან დაკავშირებით პრეზიდიუმმა მიავლინა შემდეგი მწერლები: **კ. კალაძე, გ. კაჭახიძე, ბ ჩხეიძე, დარჩინიანი და მიხ. ჩიქოვანი.**

5) ავტონომიურ რესპუბლიკებში მწერალთა დელეგაციების გაგზავნის შესახებ; პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო—პარტიის 23 აპრილის დადგენილების პოპულიარიზაციისა, ადგილობრივ მწერალთა ორგანიზაციების ჩამოსაყალიბებლად და ავტონომიურ რესპუბლიკებთან მჭიდრო კულტურულ კავშირის დამყარების მიზნით, მწერალთა დელეგაციების გაგზავნა აფხაზეთში, აჭარისტანსა და სამხრეთოსეთში.

6) მწერალთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად. საყოფაცხოვრებო და საფინანსო სექტორის მიერ ჩატარებული მუშაობა მწერალთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

7) გამომცემლობა „ფედერაცია". პრეზიდიუმმა დაადგინა საბჭოთა მწერლების კავშირის გამომცემლობა „ფედერაცია"-ს მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენება მოსმენილი იქნას პრეზიდიუმის შემდეგ გაფართოებულ სხდომაზე. გამომცემლობის დირექტორის მოადგილეებად დაინიშნენ ამხ. **შ. აფხაიძე და ს. ჩიქოვანი.**

დღეიდან

იწყება ბუდიონური ლაშქრობა

მწერლების მონაწილეობა ლაშქრობაში

ცხენისა და საკვებისათვის ბუდიონურ ლაშქრობას საქ. საბჭოთა მწერალთა კავშირი ფართოდ გამოეხმაურა. მწერალთა სასახლეში მოხდა ამიერ-კავკ. მიწსახკომის კოლეგიის და სპეციალისტების მწერლებთან შეხვედრა, რის შემდეგ მწერალთა კავშირმა შეადგინა კონკრეტული გეგმა ბუდიონურ ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებათ.

ბუდიონურ ლაშქრობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ მესაქონლეობის და კერძოდ მეცხენეობის განვითარების საქმეში, ცხენი, ტრაქტორის შემდეგ, ყველაზე მნიშვნელოვანი გამწევი ძალაა. ცხენს დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ქვეყნის თავდაცვაში. მიუხედავად ამისა მეცხენეობა საქართველოში ვერ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული.

მწერალთა მონაწილეობის მნიშვნელობა ცხენისა და საკვებისათვის ლაშქრობაში დიდია, ამას მოწმობს გორკის ცნობილი წერილი და მწერალთა მასების ჩაბმა ამ საქმიანობაში.

საბჭოთა მწერლობა ჯერ-ჯერობით ღარიბია მხატვრული ფაქტებით, რომლებიც შეეხებოდეს მესაქონლეობას, კერძოდ ცხენს. არ გვაქვს ამ თემაზე დაწერილი ლექსები, მოთხრობები, ნარკვევები და სხვ. რაც დღეს დღეობით მეტად საჭიროა. ლაშქრობაში მწერლების მონაწილეობა უმთავრესად გულისხმობს ამ ნაკლის აღმოფხვრას.

კავშირის მიერ გამოყოფილია ხუთი მწერალი, რომლებიც უკვე გაიგზავნენ თელავ-სიღნაღში, ბოგდანოვკაში, ზუგდიდში და აფხაზეთში. მწერლებს დავალებული აქვთ დასწერონ მხატვრული ნაწარმოებები საუკეთესო კოლმეურნეობების, კოლმეურნეების და საბჭოთა მეურნეობების მუშაკების შესახებ, რომლებიც იბრძვიან მესაქონლეობის, კერძოდ მეცხენეობის განვითარებისათვის.

18 სექტემბერი საქართველოში გამოცხადებულია „ცხენის დღეთ".

აღნიშნულ რაიონებში ადგილებზე გაიგზავნენ შემდეგი მწერლები: **კ. კალაძე, გ. კაჭახიძე, ბ. ჩხეიძე, დარჩინიანი და მიხ. ჩიქოვანი.**

მწერლის ტრიბუნა

რამდენიმე შენიშვნა ალი არსენიშვილის „კრიტიკულ" გამოსვლის შესახებ

ჩემი მოთხრობების შესახებ („გელათის ქუჩის დასასრული", „შემარიას უკანასკნელი სიტყვა") უკვე საკმაოდ დაიწერა და გამოითქვა ჩვენი სალიტ. კრიტიკოსების აზრი. კერძოდ მას შეხენ ამხ. ამხ. ბესო ჟღენტი, მ. მარკმანი, კ. მელაძე, „ახ. კომ." „პრ. ხელოვნება", „მნათობი", „დროშა", „სალიტ. გაზეთი" და სხვ. ამის გამო მე ამჟამად სრულებით არ მსურს დაუბრუნდე აქ წიგნების მხატვრულ შეფასებას, მათ დადებით და უარყოფით მხარეებს, ვინაიდან მე სავსებით ვიზიარებ ზემო აღნიშნული ამხანაგების მიერ მოცემულ დახასიათებასა და შენიშვნებს, მე მინდა მხოლოდ შევეხო არსენიშვილის უკანასკნელ წერილს. („სალიტ. გაზეთი" № 1).

ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ კონკრეტულ კრიტიკაზე და თანამგზავრებისადმი სწორ მიდგომაზე, მაგრამ ყველაზე უფრო პატივცემულ თეორეტიკოსებს ავიწყდებათ ეს დებულებები, როცა საქმე მიდგება პრაქტიკაზე.

ა. არსენიშვილის კრიტიკულ წერილში თავიდან ბოლომდე წითელი ხაზივით გავლებულია ერთი სურვილი, ერთი ტენდენცია ლანძღვა-გინების, მიწასთან გასწორების. აი სათანადო ეპიტეტები:

„ავტორის თვალთახედვის შეზღუდვის არე", „უცოდინარობა", „არ იცნობს სინამდვილეს", „პლაკატი", „მელო-დრამატიზმი", „მესჩანური აპოლოგია", „რეფორმიზმის ჰაობი" და სხვ. ჩვეულებრივი მარგალიტებია, რაც საერთოდ სჩვევია მას.

მაგრამ ამ სიტყვებს ჩვენ ანგარიშს არ გაუწევთ, რომ მის წერილში ადგილი არ ჰქონდეს სინამდვილის გაუგონარ დამახინჯებას, უხეშ პოლიტიკურ შეცდომებს და მიუტევებელ დილეტანტობას, და ყოველივე ამას ის სჩადის ორტოდოქსალური მარქსისტის პოზიციებიდან, ოქტომბრის სახელით!

ავალაპარაკოთ ფაქტები:

1. არსენიშვილსა ებრაული კულტურისა და ლიტერატურის საკითხების შესახებ ეტყობა წაუკითხავს ნუსინოვი (!) ისიც **ლიტერატურულ ენციკლოპედიაში** (გვ. 19-20, როგორ თვითონ სწერს), განმარტავს ნუსინოვიდან უხეიროდ ციტატების ამოგლეჯით „ჰასკალას". (არსენიშვილი დამახინჯებით ხმარობს „პასკალას" გ. ბ.) და შემდეგ ამ ამბავს აიგივებს მოთხრობის გმირების კულტურულ მოძრაობასთან — მექანიკურად, ყოველ დასაბუთების გარეშე.

„ჰასკალას" მოძრაობა წარმოიშვა გასული საუკუნის რუსეთში განსაზღვრულ სოციალურ ეკონომიურ პირობებში. ეს „მასკილები" ებრძოდნენ „ხასიდებს", „მითნაგდებს" და სხვ. ფანატიკოსებს, მაგრამ იმ დროინდელ რუსეთში ებრ. პროლეტარიატი იმდენად მოიწიფებული იყო, რომ იგი ახდენდა დიდ გავლენას ზოგიერთ მასკილის იდეოლოგიაზე.

განა ვისთვისაა საიდუმლო, რომ ყოფ. ეშიბოტნიკები, ძვ. ებრაული ენის დიდი პატრიოტები შემდეგში გადაიქცენ უდიდეს რევოლუციონერებად. აბა კეთილი ინებეთ წაიკითხეთ ფელიქს კონის, ლიბერმანის, ხასია შაურის, გურვიჩის და სხვა მოგონებები (იხ. „ისტ. რაბოჩ. დვიჟენია სრედი ევრეევ, პოლიტკატორღელების გამოცემა მოსკოვში 30 წელი).

შეიძლება ამ ამბების გაიგივება და მექანიკური გადმოტანა საქართველოში, სადაც ფაქტიურათ ებრაელთა კულტურული მოძრაობა იწყება, მხოლოდ და მხოლოდ **საბჭოთა ხელისუფლების პირობებში?**

თუ ებრ. შორის კულტურული მოძრაობის ეპოქამ საქართველოში დაიგვიანა მთელი საუკუნით, ამაში ამ სტრიქონების ავტორი არაა დამნაშავე. ხოლო მწარედ მოსაცხებია ის კრიტიკოსები, რომლებიც საკითხის უცოდინარობის გამო — ერთნაირ საფეხურებს ხედავენ რუსეთის და საქართველოს ებრ. განვითარების ისტორიაში.

2. „მუდამ მოღიმარი შალომ ალეიხემის სურათის შესახებ". რამ გააწიწმატა არსენიშვილი, რაშია საქმე, რისთვის სჭირდება მას მოიყვანოს შალომ-ალეიხემის ბიოგრაფია? (ისევ ნუსინოვიდან და ისიც ენციკლოპედიიდან!) განა ვინ სთქვა უარი საბჭოთა კავშირში შალომ-ალეიხემის მემკვიდრეობის კრიტიკული მიღების შესახებ? დღეს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში მოწყობილია მისი სახელობის მუზეუმები, სამკითხველოები, დაარსებულია მისი სახელობის სტიპენდიები; რუსეთის, უკრაინის და ბელორუსიის სახემლწ. ებრ. თეატრებში იდგმება მისი პიესები და სხვ.

რისთვის დასჭირდა არსენიშვილს ის ამბავი, რომ შალომ-ალეიხემი იყო ოდესღაც პალესტინოფილი?

ჩემს მოთხრობაში მხოლოდ ერთი სიტყვა მაქვს შალომ-ალეიხემის შესახებ, რომ ახალგაზრდ. იცნობდენ ახლად გახსნილ სამკითხველოში მარქსისა და ენგელსის გვერდით შალომ-ალეიხემის სურათის ჩამოკიდების შესახებ. ჯერ ერთი ამისათვის საჭირო არ იყო შალომ-ალეიხემის ბიოგრაფია, ხოლო მეორე ეს არ არის ავტორის ფანტაზია, არამედ ნამდვილი ფაქტია მომხდარი ქუთაისში. აი საბუთიც. სულ ცოტა ხნის წინეთ ხანძრის გაჩენამდე ქუთაისში ებრაელთა უბანში მოეწყო სამკითხველო, მისმა მომწყობებმა ჩამოჰკიდეს სამკითხველოში პორტრეტი ცნობილი ებრაელ მწერლის შალომ-ალეიხემისა, რა უნდა ყოფილიყო ამაში ცუდი. მაგრამ ოლქის განათლების განყოფილების თანამშრომლებმა, რომლებმაც არ იცოდენ თუ ვინ იყო შალომალეიხემი, გასცეს უტაქტო განკარგულება მისი ჩამოხსნის შესახებ. ეს უტაქტო განკარგულება მალე იქნა შეცვლილი.

3. არსენიშვილის სწერს: „საერთოდ ავტორი მოვლენათა ზედაპირს ვერ სცილდება. წვრილვაჭართა ყოფის გარეშე არ იცნობს სინამდვილეს (?!) და მელო-დრამატიზმისათვის (?) უადგილოდ მოჰყავს ნახევარ საუკუნის წინეთ მეფის იუსტიციის მიერ საქართველოში ნამდვილად გათამაშებული რიტუალური პროცესება ვინმე სარა მოდებაძის დაკარგვის შესახებ" (!).

აი, აქ საჭიროა ფრჩხილების გახსნა. ნიღაბ-აფარებულ მარქსისტს ამ პუნქტში აქვს ჩემთან სადაო.

რაშია საქმე? საიდან მოჰქონდეთ ეს ამბავი, რა გსურთ ამით დაამტკიცოთ? რომ საქართველოში ანტი-სემიტიზმი არ ყოფილა არასოდეს? რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩვენი კლასიური მტრები არ მისდევენ რიტუალურ ლეგენდას — საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ?

ერთ შემთხვევაშიაც და მეორეშიაც— არსენიშვილი დგას ანტი-მარქსისტულ პოზიციებზე. არ შეიძლება ილაპარაკო ასპროცენტიანი კომუნისტის ტონით (როგორც ეს დასჩემდა არსენიშვილს!). და ამავე დროს დაუშვა ასეთი უხეში პოლიტიკური შეცდომები. არ გჯერათ, რომ საქართველოში გასაბჭოების შემდეგაც ჩვენმა კლასიურმა მტრებმა კვლავ მიმართეს რიტუალის ლეგენდას? აბა კეთილ ინებეთ და გადაათვალიერეთ სათანადო მასალები. იუსტიციის სახკომისარიატის ორგანო „საბჭოთა სამართალი" № 6, 1929 წ. წერილის სათაური—„იუსტიციის ორგანოთა ამოცანები ანტისემიტიზმთან ბრძოლაში". (იხ. პლისეცკის წიგნი, გვ. 72).

მე ვწერდი არა მელო-დრამატიზმისათვის და არა 50 წლის წინანდელ ამბავს, არამედ 1928 წლის ამბებს, ხოლო ისინი, ვინც ამტკიცებდენ, რომ ეს ლეგენდა იყო მხოლოდ 50 წლის წინედ — ობიექტიურად ასხამენ წყალს ჩვენი კლასობრივი მტრების წისქვილზე.

არსენიშვილი განაგრძობს თალმუდისტის უაზრო კომენტარიებს:

„ავტორი არ გვაძლევს გელათის ქუჩის მდიდარი ტიპაჟის სოციალურ დინამიკას, როგორც მაგ. მეწვრილმანე ვაჭრებისა და შინამრეწველების ქარხნის მუშათა გარდაქმნასა" და სხვა.

ეს არ არის ღია კარებში მტვრევა?

მოთხრობა „გელათის ქუჩის დასასრული" დაიწერა 29 წელს და იმავე წელს სხვა სათაურით („ოქროს საათი") დაბეჭდილია „ქართულ მწერლობაში" (№ 8, 9, 10, 11—12).

მოთხრობის ფაბულა მთავრდება ხანძრის დროს, ე. ი. 1927 წელს. ამ ხანძრის შემდეგ საქართველოს კომ. პარტიის ც. კ. მდივანი ამხ. კახიანი ამბობდა პარტყრილობაზე, რომ დღემდე ჩვენ ვერ ვაქცევდით საქ. ებრაელობას ყურადღებას და რომ ამ ხანძარმა გვიჩვენა მათი მთელი სავალალო მდგომარეობა.

1928 წელში ჩამოყალიბდა მეშსის ორგანიზაცია, ხოლო 1929 წლის ბოლოში ღარიბკომი—რომელმაც გაშალა წარმოებების ქსელი საქართველოს ებრაელთა შორის.

ხოლო არსენიშვილს სურს ჯერ კიდევ 1927 წელს, ვუჩვენო ქარხნის მუშებად მათი გადაკეთების პროცესი! ამას ეწოდება საკითხის ცოდნა?

„აი სად არის მართლაც ბედნიერი არ- [illegible]

მე არ შემიძლია გადავახტე ეპოქას, ხოლო არსენიშვილისათვის დაშილოცნია ჩეჭკიონის სახელი ამგვარ ნახტომებში.

მეორე მოთხრობის („შემარიას") ფაბულა არსენიშვილს დაჰყავს დაგლეჯილ ციტატების დონემდე და ყველაზე უფრო მას აოცებს ის გარემოება, რომ „კულაკი შემარია საკუთარი გასამართლების შემდეგ აღიარებს კოლექტივის გამარჯვებას", რაც მისი აზრით მე თურმე დიდ მიღწევად გამომაქვს.

საიდან აკეთებს არსენიშვილი ასეთ დასკვნებს? ალბათ ეს მის ახირებულ ლოღიკას მიეწერება. შემარიას მიუსჯიან სოციალურ დასჯის უმაღლეს ზომას და უკანასკნელ სიტყვაში სასამართლოს წინ იგი აღიარებს თავის დამარცხებას. ეს არის სთინოება? გამოდის, რომ არსენიშვილი უკრძალავს კულაკებს დამარცხების ფაქტის აღიარებას და ყოველგვარ პირობებში მათ უნდა იბრძოლონ?!

კმარა, ყოველ ჩვენთაგანს მოეპოება შეცდომები, რაც უსათუოდ უნდა ამხილოს ჩვენმა კრიტიკამ, ხოლო არა ისე, როგორც ამას ჩადის არსენიშვილი, რომელსაც მოუსხამს „უცოდველობის" ქურქი.

ცეკას 23 აპრილის ისტორიული დადგენილება ებრძვის სწორედ ისეთ მიდგომას, რომელიც ახასიათებს ამხ. ა. არსენიშვილის „მოღვაწეობას".

გაუსწორებელი ნიჰილიზმი და თანამგზავრებისადმი დაუნდობელი მოპყრობა ცუდის გარეშე არაფერის კარგის დანახვა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღმოფხვრილ იქნეს ჩვენს სალიტერატურო კრიტიკის პრაქტიკაში.

გერცელ ბააზოვი.

დ. ვოლსკი

მარქსისტული კრიტიკის ვულგარიზაციის ზოგიერთ ფაქტებზე

საქართველოს მწერალთა ყრილობის რე- [illegible]

„პრავდა" თავის ცნობილ წერილში 1932 წლის 9 მაისის თარიღით აღნიშნავს, რომ „მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა ეკისრება ლიტერატურულ კრიტიკას. კრიტიკა უნდა დაეხმაროს მწერალს ავიდეს შემოქმედების უფრო მაღალ საფეხურზე. კრიტიკა შესძლებს შეასრულოს ეს, თუ თვით კრიტიკოსები დასვამენ თავიანთ წინაშე თეორეტიული სწავლის ამოცანას". „პრავდა"-ს ეს მითითება ნათლად გვეუბნება, რომ კრიტიკისათვის აუცილებელია მარქსისტული თეორიით შეიარაღება. მხოლოდ რას ნიშნავს შეიარაღება? განა „კრიტიკულ ნაშრომთა" ტომების გამოცემა ყოველთვის მარქსისტული ცოდნის მანდატია? სრულებითაც არა. სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში გაბნეული ჰეგელის, მარქსის, ლენინის და აზროვნების სხვა ბუმბერაზების ციტატების შემთხვევითი დაჭერა, მათი ხელოვნური შეკოწიწება და თავისებური, „ორიგინალური" ინტერპრეტაცია საკმაო მანძილითაა დაშორებული ჭეშმარიტ მარქსისტულ - კრიტიკას. ამგვარად, შედგენილ ტომების რაოდენობა კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ჩვენ ადვილად ვიბეჭდებით და გამოცემულ შრომების რიცხვი ხშირად არ ეფარდება ავტორის თეორეტიული მომზადების ხარისხს. მეორე, რაც ყველაზე მეტად აკლია ჩვენ კრიტიკოსებს — ეს არის პოლიტიკური ცოდნა. ის მცირე თეორიული ბარგიც კი, რომელიც აქვს ჩვენს კრიტიკოსებს, მოწყვეტილია სოციალისტურ მშენებლობის პრაქტიკას. უმთავრესად უკანასკნელი გარემოება ხდება მიზეზი იმ ლიტერატურულ პოლიტიკური შეცდომების, რომელთაც ჩვენ ყველანი ვუშვებთ. მიუხედავად არა ერთი მითითებისა, ჩვენი კრიტიკოსები დღემდე ვერ ამჩნევენ პარტიის ისეთი დოკუმენტების თეორეტიულ მნიშვნელობას, თუ გნებავთ ლიტერატურისათვისაც კი, რომელსაც პირველი შეხედვით თითქოს მასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ავიღოთ მაგალითად, ამხ. სტალინის ისტორიული სიტყვის „ახალი ვითარება—სამეურნეო მშენებლობის ახალი ამოცანები"-ს ის ადგილი, სადაც პარტიისა და მუშათა კლასის ბელადი გვეუბნება: „იმისათვის, რომ გავითვალისწინოთ შეცვლილი ვითარება, საჭიროა გამოვცვალოთ ჩვენი პოლიტიკა და გამოვიჩინოთ მზრუნველობის მაქსიმუმი იმ სპეციალისტების და ინჟინერ-**ტეხნიკოსების მიმართ, რომლებიც გარკვეულად** იხრებიან მუშათა კლასისაკენ". ვინც [illegible] შეცვლილი ვითარების ლოზუნგი—ვიმუშაოთ ახალი წესით, უხელმძღვანელოთ ახალი წესით — მარქსისტულ კრიტიკას ავალებს, უპირველეს ყოვლისა, საბოლოოდ დაგმოს მწერლობისადმი, კერძოდ თანამგზავრებისადმი ადმინისტრატიული მიდგომა.

ხელმძღვანელობის იმ სისტემით, რომელიც ჩვენ აქამდე გვქონდა მწერალთა ორგანიზაციებში, პარტიის ხაზი თანამგზავრთა მიმართ ხშირად უხეშად მახინჯდებოდა. თანამგზავრთა გარდაქმნისათვის მთავარია მათი იდეური აღზრდა, სოციალისტურ მშენებლობის პრაქტიკასთან დაკავშირება. ყოველმხრივ ხელი უნდა შეეწყოს თითეული საბჭოთა მწერლის ჩვენსკენ შემობრუნების ტენდენციას და მისწრაფებას. არის მწერალთა ისეთი ფენაც, რომელმაც ფოლადის სათვალეები ჩამოიფარა, რომ არ დაინახოს ჩვენი ყოველდღიური გამარჯვებები. ის შორს ლანდებათ უჭვრეტს კაპიტალიზმის დაკარგულ ბატონობას და ცხვირის წინ ვერ ამჩნევს სოციალისტურ გიგანტებს. ამნაირი ტიპის მწერალი შემოქმედებითი მუშაობისათვის განწირულია, ის კლასიური მტრის პოზიციებზე დგას და ცხადია, მათ დაუნდობლად უნდა შევებრძოლოთ. მაგრამ, როცა ჩვენი რომელიმე კრიტიკოსი, მწერალს, რომელსაც, თუმცა აქვს დიდი შეცდომები, რაც ჯერ კიდევ არ გვაძლევს საბაბს, რომ ის მტერს გადაულოცოთ, უწოდებს **ლეგალურ** მენშევიკს, ან კიდევ დაუფიქრებლად აკრავს კლასიური მტრის სამარცხვინო იარლიყს—ეს არის მარქსისტული კრიტიკის ვულგარიზაცია და პარტიის პოლიტიკის დამახინჯება.

ჩვენი კრიტიკოსების დაბალ თეორეტიულ დონეს და ნაწილობრივ ვულგარიზატორობას თან ერთვის ჯგუფობრიობის სენი. კრიტიკოსის შეხედულება ხშირად იცვლება შეცვლილ პირობების მიხედვით. ჯგუფობრივობა იმდენად უარყოფითი მოვლენაა, რომ ის კრიტიკოსს უკარგავს კლასიურ თვალთახედვას. ამის დასამტკიცებლად შეიძლება მოვიყვანოთ ჯგუფური კრიტიკის ზოგიერთი მაგალითები ახლო წარსულიდან და დავანახვოთ მკითხველს, თუ სადამდე მივყევართ მას.

რამოდენიმე თვის წინად, **ბ. ბუაჩიძის** სოციალ-ფედერალისტურ რეციდივებთან და საერთოდ საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში შექმნილ არანორმა- [illegible] **პლ. ქიქოძის** შეცდომების კრიტიკა, მაგრამ ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები **ბ. ბუაჩიძის, შ. რადიანის, გ. ნატროშვილის, ლუარსამიძის** და სხვათა შეცდომები, ჟურნალი სწერს, რომ წერილი შეეხება მხოლოდ ამხ. ქიქოძეს, „რომელსაც აქვს შეცდომათა სისტემა და რომელსაც სჭირდება აღიარება" (გვ. 76). ჯერ ერთი, არ შეიძლება ხელაღებით ითქვას, რომ პლ. ქიქოძეს აქვს შეცდომათა სისტემა, თუმცა მისი ნაწერები სავსეა უამრავი უხეში შეცდომებით. მეორე, რატომ არ ცნო ჟურნალმა საჭიროდ ეთქვა სხვა ამხანაგების შეცდომებზე? არის თუ არა ეს ჯგუფობრივობის შედეგი, რაც შეფასებული უნდა იქნას, როგორც ჟურნალის პოლიტიკური შეცდომა? ქუთაისელ ამხანაგებს არ ჩამორჩა ჟურ. **„პროლეტარული მწერლობა".** აღნიშნული ჟურნალის 1—2 ნომერში მოთავსებული იყო ამ წერილის ავტორის და ამხ. **ვ. ლუარსამიძის** წერილი **პ. ქიქოძის** ნახევრად ტროცკისტულ და მომენშევიკო შეცდომებზე. ზოგიერთი ამხანაგი დღემდე ფიქრობს, რომ ეს დაუშვებელი რამ მოხდა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. როგორ შეიძლება თურმე პლ. ქიქოძეზე წერა, ის ხომ უცოდველია, როგორც კეისრის ცოლი. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ზემოთ აღნიშნული მოტივის გამო ქიქოძეზე წერა არამც თუ შეიძლება, არამედ აუცილებელიცაა.

„პროლ. მწერლობა"-ს პოლიტიკური შეცდომა გამოიხატა მხოლოდ და მხოლოდ იმაში, რომ ჟურნალმა არ დაიკავა გარკვეული პარტიული ხაზი **ბ. ბუაჩიძის** და ასოციაციის სხვა ხელმძღვანელ ამხანაგების შეცდომათა მიმართ. ამის გამო მათი შეცდომები მნიშვნელოვნად შეიჩქმალა, ჟურნალმა მას გვერდი აუარა, რითაც გამოამჟღავნა თავისი ჯგუფური დაავადება. აი, სად უნდა ეძებნათ პლ. ქიქოძის დამცველთ ძაღლის თავი.

კრიტიკული ვულგარიზატორობის მსხვერპლი ზოგიერთი სარაიონო გაზეთებიც გახდენ. ყველაზე უპასუხისმგებლო შემთხვევას ჰქონდა ადგილი **„ფოთის მუშა"-ში**, რომელშიც ვინმე ანდრო ლომიძე გამოძვრა როგორც კუ ცხენოსნებში და შემდეგი შეფასება მისცა ჩვენს ერთ-ერთ საუკეთესო პოეტს **ალიო მაშაშვილს.** „ჭეშმარიტად ნაცოდავი ნიჭის პატრონია ის ადამიანი, რომელიც სდუმს ამ გრანდიოზულ მომენტში და სიტყვის თქმა ვერ მოუხერხებია. ასეთია მაშაშვილი" („ფოთის მუშა" 1932 წ.) ზოგიერთები ამასაც კრიტიკას უწოდებენ. ნამდვილად კი ეს ლიტერატურული ჟულიკობაა, თუ ასეთ „კრიტიკოსებს" ჩვენი ბეჭდვითი ორგანოები კარებს მაგრად მოუხურავდნენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მწერლობაში ბევრად უკეთესი მდგომარეობა შეიქმნება.

ჯგუფური კრიტიკის აშკარა ნიმუში მოგვცა პედაგოგიური ინსტიტუტის ალკკ ბიურო-კოლექტივის ერთდროულ ორგანოს **„საკავშირო მანდატებისათვის"**-ში მოთავსებულმა კრიტიკულმა წერილმა. ჩვენ არ [illegible] გილს, სადაც სწერია: **„პოლიტიკური სიჯანსაღე ნაროუშვილის ლიტერატურულ პროდუქციას არასდროს არ ჩამოსცილებია, მის ორ წიგნში ვერც ერთ პოლიტიკურ შეცდომას ვერ აღმოაჩენთ"** („საკავშირო მანდატებისათვის" 1932 წ. 1 აპრილი).

უდაოა, რომ **ფრ. ნაროუშვილი** ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო პოეტია, რომელიც განირჩევა შემოქმედების პოლიტიკური სიმახვილით, მხოლოდ მას ხშირად აქვს შეცდომები, უმთავრესად „მემარცხენე" ხასიათის, რომლითაც ფრ. ნაროუშვილი ზოგჯერ სამწუხაროდ, ამაყობს.

საერთოდ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ითქვას, რომ ფრ. ნაროუშვილს არც ერთი შეცდომა არა აქვს. თავის ორ უკანასკნელ წიგნში. მაგალითად, ავიღოთ **„პოლიტიკური პოეტის დეკლარაცია"**, რომელიც სრულიად სამართლიანად ფრ. ნაროუშვილის ერთ-ერთ ძლიერ შემოქმედებით ფაქტად ითვლება. „პოლიტიკური პოეტის დეკლარაცია"-ში ფრ. ნაროუშვილმა დაუშვა რამოდენიმე უხეში პოლიტიკური შეცდომა.

პირველი:

ხდება ერების გარდაცვალება,
კვდება რუსეთი, კვდება გრენადა...
გინდა იხილო შენ მუზეუმი
კაცობრიობის ურიცხვ ენათა.

ბევრმა ჩვენმა კრიტიკოსმა აღნიშნა ამხ. ნაროუშვილის დეკლარაციის ამ ნაწილის შეცდომა, მაგრამ ჩვენ მაინც ცოტა უფრო ფართოდ შევჩერდებით მასზე, ვინაიდან ზემოდ მოყვანილი ტიპის შეცდომის შინაარსი დღემდე გაუგებარი დარჩენილა ზოგიერთ ამხანაგებისათვის.

პოლიტიკური პოეტის მთავარი დამახასიათებელი თვისებაა პოლიტიკური აქტუალობა. თუ ეს ასეა, როგორ შევათანხმოთ პარტიის ლოზუნგი სოციალისტური შინაარსის და ნაციონალური ფორმის კულტურის განვითარების შესახებ ფრ. ნაროუშვილის „პოლიტიკურ დეკლარაციასთან" ერების გარდაცვალებაზე.

„ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურების აყვავება ერთ ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის არსებობის პირობებში—მათი შეერთებისათვის ერთ საერთო სოციალისტურ (ფორმითაც და შინაარსითაც) საერთო ენის მქონე კულტურაში, როდესაც პროლეტარიატი გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში და სოციალიზმი შეიჭრება ყოფაცხოვრებაში. სწორედ ამაში მდგომარეობს ნაციონალური კულტურის საკითხის ლენინური დაყენების დიალექტიურობა. ვინც ვერ გაიგო ჩვენი დროის ეს თავისებურობა და წინააღმდეგობა, ვინც ვერ გაიგო ისტორიულ პროცესების ეს დიალექტიკა—ის მარქსიზმისათვის დაღუპულია" **(სტალინი).**

„პოლიტიკურ პოეტის დეკლარაცია"-ში ნაციონალური საკითხის დაყენების დიალექტიკა ვერ გაიგო ამხ. ნაროუშვილმა და დაუშვა პოლიტიკური შეცდომა. რომ ფრ. ნაროუშვილს გადაეფურცლა ისევ საკუთარი „დეკლარაციის" რამოდენიმე გვერდი და კარგად დაკვირვებოდა თავისვე მიერ ეპიგრაფათ მოყვანილ ამხ. **სტალინის** სიტყვების შინაარსს: „არ შეიძლება ჩამორჩე მოძრაობას, ვინაიდან ჩამორჩენა ნიშნავს მასებისაგან მოწყვეტას, მაგრამ არ შეიძლება წინ წასწრებაც, რადგან წინ წასწრება ნიშნავს მასებთან კავშირის დაკარგვას", მაშინ ის აღნიშნულ შეცდომას ასცდებოდა.

პოლიტიკურად ყოვლად გაუმართლებელია ფრ. ნაროუშვილის „დეკლარაციის" შემდეგი ადგილიც:"

„განთქმულ ინჟინერს ჩვენი რესპუბლიკის
აღორძინებით „გაუხარებია"—
თურმე ქონია ზრახვა ჯალათური
თურმე ნიღაბი აუფარებია...
კლასიურია ძალზე შენი ნერვი,
ხარ კლასიური ღვარძლით ბედნიერი:
ტყვიით გახრული შუბლი ინჟინერის
პოეზიაა შენთვის მშვენიერი".

(ხაზგასმა ჩვენია—დ. ვ. გვ. 22).

ფრ. ნაროუშვილის „პოლიტიკური პოეტის დეკლარაცია" დაწერილია სწორედ მაშინ, როცა ჩვენი უდიდესი წარმატებების საფუძველზე ხდებოდა მნიშვნელოვანი გარდატეხის პროცესები ტეხნიკური ინტელიგენციის უმაღლეს ფენებშიაც კი.

მავნებლების მიმართ პროლეტარიატის დიქტატურამ არ იცის არავითარი შებრალება, **მაგრამ თითეული ინჟინრის გახრული შუბლი არასოდეს არ ყოფილა ჩვენთვის მშვენიერი პოეზია.** სწორედ „დეკლარაციის" დაბეჭდვის წელში იქნა წარმოთქმული ამხ. სტალინის ისტორიული სიტყვა სამეურნეო მუშაკების თათბირზე.

„იქნებოდა სისულელე და უაზრობა ძველი სკოლის თითქმის თვითეული სპეციალისტი და ინჟინერი შეგვეფასებია, როგორც დაუჭირავი ბოროტმოქმედი და მავნებელი. „სპეციჭამიობა" ყოველთვის ითვლებოდა და რჩება ჩვენთან მავნე და სამარცხვინო მოვლენად.

ამდაგვარად, შევცვალოთ დამოკიდებულება ძველი სკოლის ინჟინერ-ტეხნიკურ ძალების მიმართ, გამოვიჩინოთ მათდამი მეტი ყურადღება და მზრუნველობა, უფრო გაბედულად ჩავაბათ ისინი მუშაობაში,—ასეთია ამოცანა" (ამხ. სტალინის სიტყვა სამეურნეო მუშაკების თათბირზე 1931 წლის 23 ივნისს).

სრულებით არ გავს პარტიის ბელადის ეს მითითება ამხ. ნაროუშვილის დეკლარაციას ინჟინერის გახრული შუბლის მშვენიერობის შესახებ. ვინც თითეულ ინჟინერში ხედავს მავნებელს, კლასიურ მტერს —ის უშვებს უხეშ პოლიტიკურ შეცდომას, მავნეს პარტიისა და მუშათა კლასისათვის.

ჩვენი კრიტიკა თავის დროზე ბოლშევიკური დაუნდობლობით დაესხა თავს ალ. სულავას „თეორია"-ს, რომელიც გვეუბნებოდა, რომ ჩვენ ბურჟუაზიას ვებრძვით ისე თივე მეთოდებით, როგორითაც გვებრძვიან ისინი.

ალ. სულავას „თეორია"-მ პრაქტიკული გამოხატულება ჰპოვა ს. წვერავას შემოქმედებაში. სამწუხაროდ, ეტყობა მას ფრ. ნაროუშვილიც ვერ ასცდა.

„რომ მტერს ახადოს მტერმა ნიღაბი
დადის თეთრებში ნიღაბოსანი",
მოხერხებულად გაიქცა ლაშით
იყო წითლების თურმე მგოსანი"

(„დეკლარაცია" გვ. 21).

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ წითლების არც ერთი მგოსანი თეთრებში ნიღაბს არ ატარებს, არამედ მათ ებრძვის კლასიური პირდაპირობით და სიმტკიცით, თუ ის მართლაც წითლების მგოსანია და არა ნიღაბოსანი. მუშათა კლასი არ საჭიროებს ნიღაბების მეთოდებით ბრძოლას და ასეთ წარმოდგენას კლასიურ ბრძოლაზე ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს.

ჩვენი ზოგიერთი კრიტიკოსები, რომ მწერლების ამგვარ შეცდომებს ჯგუფური სათვალეებიდან არ უყურებდენ, მათი აღმოჩენა ბევრად გაადვილდებოდა.

ამხ. კ. მელაძე კი, „პოლიტიკურ პოეტის დეკლარაციის" გარჩევის დროს უსაყვედურებდა ავტორს, რომ მან სტრიქონში შეტევა მარჯვნივ— შეტევა „მარცხნივ"—არ სთქვა რომელი გადახრა არის მთავარი. რა თქმა უნდა ეს არ არის კრიტიკა. ჩვენ მწერლობას დღეს ესაჭიროება ნამდვილი მარქსისტული კრიტიკა, რომელიც მას დაეხმარება უმაღლეს საფეხურზე აყვანაში. ამისათვის აუცილებელია ბოლო მოეღოს ვულგარიზატორობას. უნდა განიდევნოს ლიტერატურული ბრძანებლობის კილო. მარქსისტული კრიტიკა უნდა დაეხმაროს ჩვენს მწერლობას გამოასწოროს დაშვებული შეცდომები. იგი უნდა დაეყრდნოს თავის იდეურ უპირატესობას.

კომყოყოჩობის და უპასუხისმგებლობის ელემენტები ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია რაც არ შეიძლება ყურადღების გარეშე იქნეს დატოვებული.

საქ. საბჭოთა მწერლების ყრილობა ფართოდ შეჩერდა კრიტიკის საკითხებზე, ვინაიდან კრიტიკა არის მწერლებისათვის გზის მაჩვენებელი იარაღი და თუ უკანასკნელი არ იქნა დაყენებული თავის სიმაღლეზე — შეუძლებელი იქნება უდიდესი ეპოქის სოციალისტური მწერლობის შექმნა.

შეურიგებელი ბრძოლა რეაქციონური მწერლობის წინააღმდეგ, შეტევა ორ ფრონტზე—მემარჯვენე საშიშროების, როგორც მთავარი საფრთხის, „მემარცხენე" ვულგარიზატორობის და მათდამი შემარიგებლობის წინააღმდეგ, სისტემატიური ზრუნვა საკუთარი თეორეტიული ცოდნის ამაღლებისათვის, ფრთხილი და პარტიული მიდგომა მოკავშირეებისადმი—აი ის ძირითადი ამოცანები, რომელიც სდგას დღეს ჩვენი კრიტიკოსების წინაშე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 23 აპრილის დადგენილება და კინემატოგრაფია

საქართველოს კინო-მუშაკთა თათბირი

22 აგვისტოს ხელოვანთა სასახლეში შედგა საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკთა კონფერენცია, რომელმაც მოისმინა ამხ. **შ. დუდუჩავას** მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილებისა და კინემატოგრაფიის ამოცანების შესახებ.

კონფერენცია გახსნა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას კულტპროპგანყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. . **პაპავამ,** რომელიც კონფერენციას მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით.

ამხ. კაკაბას სიტყვა

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილების შესახებ, — სთქვა ამხ. კაკაბამ,—დღეს ბევრს სწერენ და ლაპარაკობენ. მაგრამ სამწუხაროდ, კინო მუშაკებს თითქმის არაფერი გაუკეთებიათ ამ დადგენილების რეალიზაციისათვის. ამის მაგალითს გვაძლევს საქართველოს სახკინმრეწვის განვლილი 7 თვის მუშაობა. ამ ხნის განმავლობაში მას არაფერი გამოუშვია. ყოვლად მიუღებელი იყო ის მიდგომა, რომელსაც იჩენდა სახკინმრეწვის ძველი ხელმძღვანელობა კინოს დარგში მომუშავე შემოქმედებით კადრებისადმი.

„მოკავშირე ან მტერი"—ეს შემცდარი ლოზუნგი გადმოტანილი იქნა კინოშიაც. ამის აღმოსაფხვრელად ჯერ ძალიან ცოტაა გაკეთებული. ცეკას დადგენილება გვავალებს გადაჭრით გარდავქმნათ მთელი ჩვენი მუშაობა ახალ გრანდიოზულ ამოცანებთან, ახალ პირობებთან დაკავშირებით. უნდა აღმოვფხვრათ ის დამახინჯებანი, რომელსაც ადგილი ქონდა კინოში. ჩვენ არ გვინდა მშრალი, დაბალი მხატვრული ხარისხის სურათებით ვკვებოთ მუშამაყურებელი. სურათს უპირველეს ყოვლისა უნდა ახასიათებდეს იდეოლოგიური სიმტკიცე და მხატვრული ღირსება.

ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი ფილმები, რომლებიც აღაფრთოვანებს მუშა მაყურებელს სოციალისტური მშენებლობის შემდგომი გაშლისათვის.

კონფერენციის ორგანოების არჩევის შემდეგ მოსმენილი იქნა ამხ. **შ. დუდუჩავას** მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილებისა და კინემატოგრაფიის ამოცანების შესახებ.

ამხ. შ. დუდუჩავას მოხსენება

— საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება ისტორიული დადგენილებაა. საქართველოში ჩვენ უკვე ჩავატარეთ მწერალთა ყრილობა. ეს იყო პირველი ყრილობა, რომელიც მოწვეული იყო იმისათვის, რომ საქართველოს მწერლებს გარდაექმნათ თავისი მუშაობა ცეკას დადგენილების საფუძველზე. დღევანდელი ჩვენი კონფერენცია წარმოადგენს პირველ ნაბიჯს ამ მიმართულებით კინოში.

ჩვენ ვიცით, რომ ტეხნიკურ ინტელიგენციაში მოხდა დიდი გარდატეხა. ამ ინტელიგენციის დიდი ნაწილი დღეს საბჭოთა ხელისუფლებასთან მუშაობს, იბრძვის სოციალიზმის მშენებლობისათვის. ასეთივე მობრუნება მოხდა ჰუმანიტარულ ინტელიგენციაშიაც, ეს ერთ-ერთი მთავარი მოტივთაგანია, რომელმაც საბაბი მისცა პარტიას გამოეტანა თავისი ისტორიული დადგენილება. ამ დადგენილებაში პარტიამ სთქვა, რომ უნდა გაუქმდეს პროლეტარული ორგანიზაციები ხელოვნების ყველა დარგში. რითი აიხსნება ეს? საბჭოთა ხელისუფლება უკანასკნელ წლებში ძალიან გაიზარდა. არსებული ორგანიზაციული ფორმები უკვე აღარ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას. მეორე მხრივ, განსაკუთრებული პროლეტარულ მწერალთა ასოციაციები გადაიქცნენ დღეს უკვე ლიტერატურის და ხელოვნების განვითარების შემაფერხებელ ძალად. ეს ორგანიზაციები იბრძოდნენ, მხარს უჭერდნენ იმ მუშაკებს, რომელთაც ძველი ტრადიციები მოჰქონდათ ხელოვნებაში. ასე იყო კინოში, თეატრში და სხვ. დარგებში. ასეთი მდგომარეობა იყო როგორც რუსეთში, ისე საქართველოში. ყველაფერი ეს სრულებით არ შეეფერებოდა პარტიის თვალსაზრისს.

მე დავესწარი რევოლიუციონური კინემატოგრაფიის მუშაკთა ასოციაციების საკავშირო კონფერენციას ლენინგრადში. იქ გამოსულმა მომხსენებელმა, მოსკოვის ასოციაციის მდივანმა **იუკოვმა** სთქვა, რომ ჩვენ შეგვიძლია გვქონდეს მხოლოდ ისეთი სურათები, რომლებიც გამართული იქნება იდეოლოგიურად მთელი 100 პროცენტით. თუ სურათი მთლიანად არ აკმაყოფილებს მარქსისტულ - ლენინურ მსოფლმხედველობას, მისი ავტორი **მტერია** სოციალისტური მშენებლობისა. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ასეთი შეხედულება ეწინააღმდეგება პარტიის აზრს. ამ შეხედულების წინააღმდეგ თავის დროზე გაილაშქრა „პრავდა"-მ სარედაქციო წერილში, სურათის იდეოლოგიურ სიმტკიცესთან ერთად, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ მის მაღალ მხატვრულ ხარისხისათვისაც.

23 აპრილის დადგენილება სხვა მხატვრულ ორგანიზაციებთან ერთად ეხება კინოსაც. რა გვქონდა ჩვენ კინემატოგრაფიის დარგში? არსებობდა თეორია, რომელიც ამტკიცებდა, რომ საბჭოთა კინემატოგრაფია კრიზისს განიცდის. ამ თეორიას არაფერი საერთო არა აქვს ჩვენს თვალსაზრისთან. საბჭოთა კინემატოგრაფიამ ტეხნიკურ დარგში უდიდესი მიღწევა მოიპოვა. იგი განთავისუფლდა უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან. იდეოლოგიის დარგში წამოყენებული იყო ლოზუნგი „დავეწიოთ და გავუსწროთ". ეს ლოზუნგი შემცდარია, რადგან ყოველი საბჭოთა ფილმი თავისი იდეოლოგიური მიზანდასახულობით მაღლა სდგას ყოველ საზღვარგარეთულ „ბოევიკზე".

ამჟამად საბჭოთა კინემატოგრაფიაში, ჩემი აზრით, მთავარ საშიშროებას წარმოადგენს მექანიზმი. თქვენ იცნობთ ჩვენს საუკეთესო სურათს „ოქროს მთებს". მისი ავტორი **იუტკევიჩი** აქ, თბილისში, გამართულ დისპუტზე აღნიშნავდა, რომ მის სურათში ბევრია მექანისტური შეცდომები და ეს მართალიცაა. ავიღოთ სურათი „ახალ ცხოვრებისაკენ". ბევრს მოსწონს ეს სურათი, მაგრამ მან ძალიან ცუდი გავლენა მოახდინა ჩვენს ახალგაზრდა თაობაზე. გაიზარდა მიბაძვა სურათის გმირებისადმი. აქედან სჩანს, რომ სურათის ემოციონალური ზეგავლენა დიდია, მაგრამ მთლიანად სურათი მაინც შეცდომებითაა სავსე. არის კიდევ ცნობილი სურათი— „თქვენთვის მოიძებნება სამუშაო". ეს არის საუკეთესო ნიმუში იმისა, თუ როგორ არ უნდა გაკეთდეს სურათი.

ვნახოთ ეხლა რა გვქონდა ჩვენ საქართველოს სახკინმრეწვში? მისი პროდუქცია ძალიან იშვიათად გამოჩნდებოდა ეკრანზე. და როცა გამოჩნდებოდა, მაშინაც კი მაყურებელი გარბოდა მისგან. ეს აიხსნება იმით, რომ საქართველოს სახკინმრეწვი ჩაება „ხანჟონკოვშჩინაში", რომ ის აჰყვა ზოგიერთ რეჟისორებს, რომლებმაც მოინდომეს კინოს თეატრისათვის დამორჩილება. ეს რეჟისორები სასტიკად დამარცხდნენ. მაგალითისათვის ავიღოთ **ა. წუწუნავას** სურათი „ორი მონადირე", რომელიც ეხლა დიდი წარმატებით სარგებლობს. ეს სურათი გაკეთებულია, „საშინელებათა თეატრის" პრინციპების მიხედვით.

სახკინმრეწვში მუშაობს რეჟისორი **მ. ჭიაურელი.** მან დაიწყო „კორნეტ სტრეშნევით" და მივიდა „ხაბარდამდე". ჭიაურელმა დაამტკიცა, რომ ის არის განსაზღვრული ჟანრის რეჟისორი, ისეთი ჟანრის, რომელიც დიდ გამოხმაურებას პოულობს არა მარტო ჩვენში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში. მაგრამ ჩვენ მთლიანად მაინც არ მივიღებთ „ხაბარდას", რადგან მასში ხელაღებით გაბიაბრუებულია ჰუმანიტარული ინტელიგენცია. სურათი დამძიმებულია მექანისტური შეცდომებით.

ჩვენში იყო სურათები, რომლებშიაც ერთმანეთში გადაჯაჭვულია ფორმალიზმი და მექანიზმი (რეჟისორ **დოლიძის** სურათები). აიხსნება ეს იმით, რომ არავითარი ხელმძღვანელობა არ ყოფილა შემოქმედ მუშაკებზე ამაში ერთგვარად მეც მიმიძღვის დანაშაული. მაგრამ, რას აკეთებდა ამ დროს რევოლიუციონური კინემატოგრაფიის მუშაკთა ასოციაცია? ის კუდში დასდევდა ფორმალისტებს. ასოციაციაში ადგილი ჰქონდა ჯგუფობრიობას და ოჯახურ განწყობილებას. ასოციაციის ხელმძღვანელებმა შეადგინეს პროლეტარულ რეჟისორთა სია, რომელშიაც მოხვდნენ ისეთი რეჟისორები, რომლებისთვისაც საჭირო იყო მსოფლმხედველობის გარდაქმნა 70—80 პროცენტით. უკანასკნელ ხანებში ასოციაცია მოიცვა ლეტარგიულმა ძილმა. ასოციაცია უნდა გარდაიქმნას. მის მაგივრად უნდა შეიქმნას ორგანიზაცია, რომელიც ნამდვილად ხელს შეუწყობს შემოქმედებითი მუშაობის გაშლას.

ასოციაცია მოწინავე ორგანიზაცია უნდა იყოს კინომრეწველობაში. ის უნდა გახდეს შემოქმედ ორგანიზაციად, რომელშიაც უნდა ჩავაბათ ყველა შემოქმედი მუშაკები — რეჟისორები, სცენარისტები, აქტიორები და ოპერატორები. შემდეგ ასოციაციაში შეიძლება მიღებულ იქნან დამკვრელი მუშები, რომელთაც კავშირი აქვთ კინემატოგრაფიასთან.

ასოციაციის ძირითადი უჯრედი უნდა იყოს სახკინმრეწვის ფაბრიკა. ასოციაციის მომავალმა გამგეობამ უნდა იცოდეს, რომ რეჟისორს უნდა მიეცეს თავისი შემოქმედებითი მეთოდის თავისუფლად გამოყენების საშუალება. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ რეჟისორის შეზღუდვის წინააღმდეგ. დეე მან გამოიყენოს ფანტაზია, ამისი არ უნდა ავეშინოდეს. საჭიროა მხოლოდ, რომ მისი სურათი ხელს უწყობდეს სოციალისტური მშენებლობის საქმეს.

საქართველოს რევოლიუციონური კინემატოგრაფიის მუშაკთა ასოციაციას მრავალი შეცდომები ჰქონდა. ეს შეცდომები უნდა იქნას გამომჟღავნებული და დაგმობილი. ასოციაცია უნდა დაეხმაროს ქართული კინემატოგრაფიის განვითარებას.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ასოციაციის მომავალი გამგეობა სერიოზულ და მეთოდიურ მუშაობას დაიწყებს ყველა იმ ამოცანების ირგვლივ, რომლებიც სდგას ჩვენი კინემატოგრაფიის წინაშე. მე ვფიქრობ, რომ ცეკას დადგენილება იქნება უდიდესი იმპულსი ნამდვილი სოციალისტური ფილმის შექმნისათვის.

ამხ. დუდუჩავას მოხსენების შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. **ორდენიძის მოხსენება** საორგანიზაციო კომიტეტის მუშაობის შესახებ, რის შემდეგაც დაიწყო კამათი.

კამათი

ამხ. **გაბუნია** აღნიშნავს, რომ საქართველოს სახკინმრეწვში დიდი გასაქანი აქვს პროტექციონიზმს და ძმა-ბიჭობას. სახკინმრეწვს არა აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც ხელს შეუწყობდა კინომუშაკებს კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. ადგილობრივ ძალების გამოყენებას ნაკლები ყურადღება ექცევა.

ბ. ჟღენტი. ესალმება კონფერენციას საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით და აღნიშნავს, რომ მწერლები, სცენარისტები და მხატვრები ცალცალკე ვერ ჩაატარებენ იმ მუშაობას, რომელსაც გვავალებს ცეკას ისტორიული დადგენილება. ჩვენ უნდა შევქმნათ მთლიანი ფრონტი და ერთად ვიბრძოლოთ დიადი სოციალისტური ხელოვნების შესაქმნელად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ კინემატოგრაფიის ეხლანდელ ეტაპზე განსაკუთრებული სიმახვილით უნდა დაისვას საკითხი მწერლების ჩაბმისა კინემატოგრაფიის მუშაობაში. მით უფრო, რომ მეორე ხუთწლედში ფილმების რიცხვი დიდად უნდა გაიზარდოს და ჩვენ თანდათან უნდა გადავიდეთ მოლაპარაკე ფილმებზე. ამისათვის საჭიროა კინოში ჩაბმული იქნენ სიტყვის ოსტატები. ამიტომ საბჭოთა მწერლების კავშირსა და კინოს შორის უნდა დამყარდეს მჭიდრო კონტაქტი. ამ მიმართულებით ჯერ არაფერი გაკეთებულა. ის გარემოება, რომ კინოს დღემდე არ ჰყავს სცენარისტების საჭირო კადრი, აიხსნება იმით, რომ ასეთი კონტაქტის დასამყარებლად აქამდი არავის უზრუნვია.

თუ დღემდე კინემატოგრაფიაში უმთავრესად სქემებს ვხვდებოდით, ეხლა პარტია აყენებს საკითხს ფილმების მხატვრული მხარის გაუმჯობესების შესახებ. ეს გვავალებს გავაძლიეროთ ბრძოლა კვალიფიკაციისათვის და მეტი ურთიერთობა დავამყაროთ ლიტერატურულ ძალებსა და კინემატოგრაფიის მუშაკებს შორის.

კ. მიქაბერიძე აღნიშნავს, რომ სახკინმრეწვში დღემდე გაბატონებული იყო ისეთი აზრი, რომ გამოსაშვებ სურათების 70—80 პროცენტს უნდა შეადგენდეს კულტურფილმები. სრულებით ანგარიშს არ უწევდნენ მუშა მაყურებლის მოთხოვნილებას, მხატვრული ფილმები მივიწყებული იყო. სახკინმრეწვი კადრების დიდ ნაკლებობას განიცდის. ამავე დროს არ ზრუნავენ მათ აღზრდაზე. ამ საქმეს კამპანიების ხასიათი აქვს. ამაში ნაწილობრივ ჩვენც მიგვიძღვის ბრალი. საჭიროა კადრების მომზადებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის პროგრამა, რომელიც დასახული აქვს სახკინმრეწვს, ვერ იქნება შესრულებული.

ეხება რა რევოლიუციონური კინემატოგრაფიის მუშაკთა ასოციაციის მუშაობას, ორატორი აღნიშნავს, რომ ასოციაციაში ხშირად ადგილი ჰქონდა უხეშ ადმინისტრატიულობას, შემოქმედ მუშაკების დაშინებას ასოციაცია ხელს არ უწყობდა სხვადასხვა ჟანრების, კერძოდ კომიკური ჟანრის დანერგვას კინემატოგრაფიაში.

ა. არსენიშვილი: კინო ხელოვნების ის დარგია, სადაც მარქსისტული მსოფლმხედველობა ყველაზე გვიან გატარდა. კინოში უკანასკნელ დრომდე გაბატონებული იყვნენ ძველი ოსტატები. ძველი იდეოლოგიით. ეს აიხსნება სათანადო კადრების სიმცირით. განსაკუთრებით საგრძნობია სცენარისტების ნაკლებობა. სცენარი—ყველაზე სუსტი ადგილია კინოს მუშაობაში. ეს ჩიხი უნდა გავარღვიოთ. ამაში უნდა დაგვეხმაროთ მწერალთა კავშირი. სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს იმ დილეტანტიზმს და ხალტურას, რომელიც გამეფებულია ეხლა სცენარის დამზადების დარგში.

ა. წუწუნავა აღნიშნავს, რომ ის ხდომა, რომელსაც გვიცხადებს პარტია კინემატოგრაფიის ძველ მუშაკებს, გვავალებს ვიყოთ სადარაჯოზე. ასე არ გვიყურებდა ჩვენ სახკინმრეწვის ძველი ხელმძღვანელობა. ჩვენ საშუალებას არ გვაძლევდნენ გამოგვეჩინა ჩვენი ნიჭი და უნარი. ჩემი პირველი ნამუშევარი კინოში იყო რევოლიუციონური სურათი, მაგრამ ეს სურათი არ მიიღეს და დამცინეს კიდეც. „გამოჩნდა რევოლიუციონერიო". სახკინმრეწვში ყურადღებას არ აქცევენ ადგილობრივ კადრების აღზრდას და გამოყენებას. ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენი ორიგინალური ხმოვანი ფილმები, ნაციონალური ფორმით და სოციალისტური შინაარსით. ამისათვის საჭიროა აღვზარდოთ ადგილობრივი კადრები.

ამხ. **ჩოჩუა** აღნიშნავს, რომ მომხსენებელმა ძალიან მცირე დრო დაუთმო საქართველოს რევოლიუციონური კინემატოგრაფიის მუშაკთა ასოციაციის მუშაობის კრიტიკას. საქართველოს ასოციაციაში ადგილი ჰქონდა ცალკე მუშაკების დაშინებას იმდენად, რომ აქტიურ მუშაკიდან მას პასიურ მუშაკად აქცევდნენ ხოლმე. არ ეხმარებოდნენ ცალკე ამხანაგებს შეცდომების გამოსწორებაში. ასოციაციაში გამეფებული იყო ჯგუფობრიობა ამხ. დუდუჩავა აქ ლაპარაკობდა იუკოვის შეცდომებზე, მაგრამ მან ცოტა სთქვა იმაზე, თუ რა გავლენა ჰქონდა იუკოვის ხელმძღვანელობას საქართველოს ასოციაციაზე. ჯგუფობრიობის შედეგად ადგილი ჰქონდა შემოქმედ მუშაკების „მომემარცხენო" შეუფასებლობას. ეს შეუფასებლობა გრძელდება დღესაც.

ზოგიერთი კინო მუშაკები ფიქრობენ, რომ დადგა დრო, როდესაც საჭირო აღარ არის 100 პროცენტიანი იდეოლოგია. ეს შეცდომაა. ცეკას დადგენილება ამას არ გვეუბნება. პირიქით, იდეოლოგიის საკითხი დღეს უფრო მწვავედ სდგას, მაგრამ იდეოლოგიასთან ერთად საჭიროა ყურადღება მიექცეს ფილმების მხატვრულ მხარეს.

ასოციაციის ცუდი ხელმძღვანელობის შედეგად ჩვენს შემოქმედ მუშაკებს შორის გამეფებულია კარჩაკეტილობა. არ არის კოლექტიურობა მუშაობაში. მათ ეშინიათ გაუზიარონ ერთმანეთს თავისი შემოქმედებითი მეთოდი ამას ბოლო უნდა მოეღოს. საჭიროა სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს ადმინისტრატიულ თვითნებობას შემოქმედ მუშაკების მიმართ.

მ. ჭიაურელი. საქართველოს ასოციაციის მუშაობაში ადგილი ჰქონდა მრავალ დამახინჯებას. ასოციაციას მექანიკურად გადმოჰქონდა რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის შეცდომები. ასოციაციის ხელმძღვანელობა დახმარების მაგივრად ადმინისტრატიულ თვითნებობას იჩენდა შემოქმედ მუშაკების მიმართ. ისინი ხშირად ანეგდოტურ მდგომარეობაში ცვივდებოდნენ. დიალექტიკას ეძებდნენ არა მთლიანად სურათში, არამედ ცალკე კადრებში. შემდეგში საჭიროა ყველა მხატვრული ძალების კონსოლიდაცია ცეკას ისტორიულ დადგენილების რეალიზაციისათვის.

ამხ. **ხომერიკი:** მართალია ასოციაციას ჰქონდა მრავალი შეცდომები, მაგრამ ეს არ ანთავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან წარმოების ხელმძღვანელობას. ხელმძღვანელი ამხანაგები ნაკლებ დახმარებას უწევდნენ ახალგაზრდა კადრებს. აღსანიშნავია ისიც, რომ „სოიუზკინო" უმსგავსოდ ექცევა ჩვენს შემოქმედ მუშაკებს. ის დაუზოგავად ამახინჯებს ჩვენს სურათებს.

ამხ. **გალენიძე** აღნიშნავს, რომ დუდუჩავამ თავის მოხსენებაში არ მოგვცა მთლიანი სურათი ქართული კინემატოგრაფიის მდგომარეობისა. საქართველოში არ არსებობს კინემატოგრაფიული აზრი. ასოციაციამ ვერ შესძლო მასების დაინტერესება კინოთი, ვერ ჩაება თავის მუშაობაში ფართო მასები. ასოციაციის ახალმა ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნოს ქართული კინემატოგრაფიული პრესის შექმნაზე.

ამხ. **ორდენიძე:** ასოციაცია არ იყო შემოქმედი ორგანიზაცია. მისი მუშაობა არ იყო მიმართული მხატვრული პრაქტიკის განვითარებისაკენ. საქართველოს კომკავშირი ძალზე ნაკლებ ყურადღებას აქცევს კინოს. არსებული კომკავშირული მხატვრული ბრიგადები დაიშალა. ასოციაციამ ვერ გაუწია მათ დახმარება. საჭიროა კომკავშირში მუშაობის გაცხოველება ამ მიმართულებით.

ამხ. **გოგიძე:** ასოციაცია იყო უპრინციპო ორგანიზაცია. ის კუდში მისჩანჩალებდა მოსკოვის და ლენინგრადის ასეთივე ორგანიზაციებს. ის უკრიტიკოთ ადასტურებდა მათ დადგენილებებს. ასოციაციამ ვერ შეუწყო ხელი შემოქმედ ძალების აღზრდას და მათ შენარჩუნებას. ამის შედეგია ის გარღვევა, რომელსაც ამჟამად განიცდის სახკინმრეწვი.

ამხ. **პერელმანი:** ასოციაციის „მომემარცხენო" შეცდომების შედეგად საქართველოს სახკინმრეწვმა დღემდე ვერ შექმნა ვერც ერთი მნიშვნელოვანი მხატვრული ფილმი. ამის გამეორება შემდეგში აღარ შეიძლება. საჭიროა ბოლო მოეღოს სხვადასხვა იარლიყების მიკერებას რეჟისორებისა და სცენარისტებისათვის.

ამხ. **გძელიშვილის** აზრით ასოციაციის შემადგენლობაში რეჟისორებთან, სცენარისტებთან, აქტიორებთან და ოპერატორებთან ერთად უნდა შედიოდნენ ის მუშებიც, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ფილმის შექმნაში.

ამხ. **ალავიძე** აღნიშნავს, რომ მომხსენებელს თავის მოხსენებაში არ დაუსახავს ის გზები, რომლითაც უნდა წავიდეს მომავალში ჩვენი კინომრეწველობა.

ამხ. **თითბერიძე:** ასოციაციის მუშაობის ერთ-ერთი დიდი დეფექტი იყო ის, რომ მან კინემატოგრაფიულ საზოგადოებრიობას ვერ გააცნო საკავშირო კომპარტიის ცეკას 8 დეკემბრის დადგენილება, რომელიც ეხება კინომრეწველობის განვითარების ძირეულ საკითხებს. ეს დადგენილება ავალებს და ნაციონალურ კინო-ორგანიზაციებს გაეძლიერებიათ მასიურ - მხატვრული ფილმების გამოშვება. ეს დადგენილება დღემდე არ არის შესრულებული. ჩვენ კინო ვერ გადავაქციეთ მასიურ ხელოვნებად. ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენ სწორად ვერ გავიგეთ კინომრეწველობის წინაშე მდგომი ამოცანები. ასოციაციის ახალმა გამგეობამ ამ მხრივ ფართოდ უნდა გაშალოს მუშაობა. სახკინმრეწვი ამჟამად უდიდეს გარღვევას განიცდის. საჭიროა მთელი საზოგადოებრიობის ყურადღების მობილიზაცია ამ გარღვევის უმოკლეს ვადაში აღმოსაფხვრელად. საქარ-ლოს სახკინმრეწვს რამდენიმე წლის წინად ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირა საბჭოთა კავშირის კინოორგანიზაციებს შორის. ჩვენ გვაქვს ყველა საშუალება დავიბრუნოთ ეს ჩვენი წინანდელი მდგომარეობა.

შ. დუდუჩავას საბოლოო სიტყვა

ჩვენს კონფერენციაზე საინტერესო საკითხი წამოაყენა რეჟისორმა კ. მიქაბერიძემ. მან დასვა კომედიის, სატირა-პამფლეტის საკითხი. ეს საკითხი არ არის დამუშავებული. საგულისხმოა, რომ 74 კინო-კომედიიდან, რომელიც გამოუშვეს საბჭოთა კინოორგანიზაციებმა, მხოლოდ სამი-ოთხი მიდის ეკრანზე. დანარჩენები თაროებზე აწყვია.

არიან ამხანაგები, რომლებიც უარყოფენ საერთოდ კინო-კომედიის არსებობას საბჭოთა პირობებში. შეიძლება თუ არა დადებითი გმირი, დამკვრელი მუშა გავხადოთ კომედიის ობიექტად? მთელი რაგი კრიტიკოსები სასტიკად ილაშქრებენ ამის წინააღმდეგ. მე ვფიქრობ ,ეს ამხანაგები დგანან კინო-კომედიის ბურჟუაზიულ გაგებაზე. რასაკვირველია, დადებითი გმირი არ შეიძლება გავხადოთ შარჟის ობიექტად, მაგრამ კომედიის ობიექტად ის შეიძლება გახდეს ეს არ იქნება გამანადგურებელი სიცილი. ეს იქნება წამქეზებელი სიცილი. სიცილი არის არა მარტო გამანადგურებელი, არამედ წამქეზებელიც.

მე ჩემს მოხსენებაში აღვნიშნე, რომ საჭიროა ვიბრძოლოთ გამარტივებული დიალექტიკის წინააღმდეგ, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს დიალექტიკა არ იყოს საჭირო. ჩვენ ვებრძვით მხოლოდ დიალექტიკის ვულგარიზაციას. მაგრამ ამავე დროს ვიბრძვით რეჟისორის მსოფლმხედველობის გარდაქმნისათვის. **რასაკვირველია, მარქსისტულ- ლენინური მსოფლმხედველობის გარეშე ვერც ერთი რეჟისორი ვერ შესძლებს ისეთი სურათის მოცემას, რომელიც საჭიროა გაშლილ სოციალისტურ მშენებლობისათვის.**

რევოლიუციონური კინემატოგრაფიის მუშაკთა ასოციაციამ უნდა გაშალოს მუშაობა საბჭოთა მხატვრული ფილმის შექმნისათვის. ჩვენ გვესაჭიროება მხატვრული გასართობი ფილმი, საბჭოთა დეტექტივი, რომლებიც გამართული უნდა იყოს იდეოლოგიურად. ამავე დროს ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა კავშირი იმყოფება კაპიტალისტური გარემოცვაში. ამისდამიხედვით საჭიროა ხელი შევუწყოთ თავდაცვითი კინო-სურათების გამოშვებას. მაგრამ ეს ამას არ ნიშნავს, რომ ამ სურათებს გამოშვება უნდა ხდებოდეს მხატვრული ფილმების ხარჯზე. ჩვენ გვესაჭიროება თავდაცვითი სურათებიც და სხვა ჟანრებიც.

შ. დუდუჩავას საბოლოო სიტყვას შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რის შემდეგაც მოხდა არჩევნები.

რევოლიუციონური კინემატოგრაფიის მუშაკთა ასოციაციის ახალ გამგეობაში არჩეული იქნენ ამხ. **შ. დუდუჩავა, მ. ჭიაურელი, ლ. ესაკია, დ. რონდელი, ვაჩნაძე, შ. ხუსკივაძე, ნ. ღოღობერიძე, ნ. შენგელაია, მერკულოვი, შ. აფაქიძე, ს. ჯალიაშვილი, ი. ვაკელი და ორდენიძე.**

უცხოეთის ქრონიკა

„მოგონებანი არტურ შნიცლერზე"

რამდენიმე თვის წინ გარდაცვლილი ცნობილი მწერლის არტურ შნიცლერის ხსოვნის აღსანიშნავად, ფიშერის გამომცემლობამ ბერლინში, გამოსცა გამოჩენილ გერმანელ მწერლების—ვერფელის, ვასსერმანის და სხვათა—მოგონებათა კრებული. კრებულს დართული აქვს შნიცლერის გამოუქვეყნებელი ნოველა: „ლიტერატურის უკანასკნელი წერილი".

რაინერ მარია რილკეს დღიურები და მიწერ-მოწერა

„ინზელ-ფერლაგ"-მა გამოსცა სახელგანთქმულ გერმანელ ლირიკოსის დღიურები, რომელიც მისი ჭაბუკობის წლებშია შედგენილი, მიწერმოწერა მეგობრებთან, აღწერა მისი მოგზაურობისა რუსეთში, სიყვარული და დაქორწინება კლარა ვესტგავზე.

კრებული საინტერესო მასალებს შეიცავს რილკეს სიყმაწვილის ხანის გასაცნობად.

გამოვიდა აგრეთვე **ვ. შრანკის** ფილოსოფიური შრომა („ვენომენოლოგისტური" თვალსაზრისით დაწერილი) რილკეს შესახებ.

„მინარეთები, ყვავილები, სისხლი"

ფრანგი მწერალი, ყოფილი ოფიცერი, **მიხაელ იდრაკ** თავის რომანში „მინარეთები ყვავილები, სისხლი". აღწერს ფრანგების გალაშქრებას მაროკოში, ადათ-ჩვეულებებს მაროკოელების ყოფიდან, ჯარისკაცთა შორის მომხდარ ეპიზოდებს და სხ.

ავტორი ჩვეულებრივი კოლონიალური რომანისტის პოზიციაზე რჩება—მისი მიზანია „ობიექტური" აღწერა კოლონიებში მიმდინარე ექსპლოატაციისა და მეტი არაფერი.

წიგნი კრიტიკის ისტორიიდან

პოლონელმა მკვლევარმა **გრაბოვსკიმ** გამოსცა შრომა „ლიტერატურული კრიტიკის შესახებ პოლონეთში რომანტიზმის ეპოქაში". ის წარმოადგენს გაგრძელებას 1918 წელს გამოსულ გრაბოვსკის წიგნისას ლიტერატურულ კრიტიკაზე ცრუ—კლასიციზმის ეპოქაში. შრომა იძლევა მრავალ ფაქტიურ მასალას, და კერძოდ, ძვირფასია მით, რომ გრაბოვსკი დაწვრილებით არჩევს იმ ჟურნალებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ქონდათ კრიტიკის განვითარებაში პოლონეთის მასშტაბით.

მეთოდოლოგიურად წიგნი სიახლეს არ შეიცავს

„ნიცშე და ქალები".

ვ. ვ. ბრაუნი თავის გამოკვლევაში **„ნიცშე და ქალები"** უარყოფს საერთოდ მიღებულ თვალსაზრისს ნიცშეს არისტოკრატიულ ანტიფემინიზმზე. ის ბიოგრაფიული მასალების ფონზე აჩვენებს, რომ ქალებმა დიდი როლი ითამაშეს ამ სახელგანთქმული „რადიკალური არისტოკრატის" (ბრანდესის გამოთქმაა) ცხოვრებასა და შემოქმედებაში.

„ფრანც ოვერბეკი"

ვალტერ **ნიგგ**-ის წიგნი შეიცავს გერმანელი თეოლოგის, კულტურის ისტორიკოსის და ნიცშეს უახლოესი მეგობრის ფრანც ოვერბეკის ბიოგრაფიას, ნიცშეს ბრძოლას ქრისტიანიზმის წინააღმდეგ ოვერბეკმა შემატა ისტორიული იარაღი საერთოდ რელიგიის წინააღმდეგ ნიცშეს მკვლევართათვის ნიგგის მონოგრაფია ოვერბეკზე მდიდარ მასალებს შეიცავს.

დოსტოევსკი და გორკი ეკრანზე

პარიზელ კინოში დადგმულია ორი ფილმი, რომელთა შინაარსი აღებულია რუსული ლიტერატურის თხზულებებიდან: „ძმანი კარამაზოვნი", და „წითელი გოლიათები".

-(გორკის მოთხრობის „არტემი და კაინი"-ს მიხედვით)! „ძმანი კარამაზოვნი" გადმოცემულია მხოლოდ სიუჟეტური ჩონჩხის ჩვენებით. მიუხედავად ამისა კრიტიკა აღნიშნულ ფილმს კმაყოფილებით შეხვდა. რეცენზენტის რეკლამა ერგო წილად გორკის „წითელ გოლიათსაც".

მწერალთა ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად

დახურული განმანაწილებელი

ამ თვის ბოლოსათვის, მწერალთა სასახლის სარდაფში გაიხსნება მწერლებისათვის დახურული განმანაწილებელი. სწარმოებს განმანაწილებელისათვის გამოყოფილ ბინის შეკეთება და მოწყობა. მწერალთა ყოფაცხოვრების სექტორს დაევალა, მიიღოს ზომები, რათა მწერლებს საწარმოო და სხვა პროდუქტები მიეცეთ დაწყებული მესამე კვარტალიდან.

საავტორო ჰონორარი.

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა 4 აგვისტოს სხდომაზე მიიღო ახალ საავტორო ჰონორარის პროექტი. მისი სათანადო ინსტანციებში გატარება დაევალა ამხ. **ნ. მიწიშვილს.**

მწერალთა დახურული სასადილო-კაფე

აუცილებელ საჭიროდ იქნა ცნობილი მწერალთათვის დახურულ სასადილო-კაფეს გახსნა. მწ. კავშირმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე, რათა აღნიშნულ სასადილო - კაფესათვის კავშირს გადაეცეს ყოფ. „„ქიმერიონი"-ს ბინა, რომელიც თავის დროზე ეკუთვნოდა მწერალთა კავშირს და რომლის მოწყობისათვისაც დახარჯულია მწერალთა კავშირის დიდძალი თანხა.

მწერალთა საცხოვრებელი სახლი.

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა მწერალთა საცხოვრებ. სახლის ასაგები თანხა გათვალისწინებული იქნას მომავალი წლის საბინაო მშენებლობის გეგმაში. იმავე დადგენილებით მიღებულია ზომები მწ. საცხ. სახლის საძირკვლის ჩაყრა მოხდეს წელსვე ოქტომბრის რევოლიუციის 15 წლის თავზე

მოძმე რესპუბლიკებში

სომხეთი

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

წ.-არმიის სომხური ნაწილები

წითელი არმიის 15 წლის თავთან დაკავშირებით, საკ. სამხედრო რევოლიუციონურმა საბჭომ სომხეთის სახალხო მხატვარს **მ. სარიანს** დაავალა დახატოს დიდი სურათი, რომელიც გამოსახავს წ.-არმიის სომხური ნაწილების საბრძოლო უნარიანობას.

პირველი სომხური ოპერის თეატრი

წელს ერევანში პირველად გაიხსნება სახ. სომხურ ოპერის თეატრი, სეზონი დაიწყება სპენდიაროვის ოპერათი, „ალმასტ". ოპერის მხატვრული გაფორმება მინდობილი აქვს მხატვრებს სარიანს და არუტჩიანს.

მ. გორკის იუბილე

სომხეთის საბჭოთა მწერლების საორგანიზაციო კომიტეტმა გამოყო კომისია სომხეთში მ. გორკის საიუბილეო დღეების ჩასატარებლად.

ლონდონის გამოფენაზე

სომხეთის განათლების კომისარიატი შეუდგა მზადებას მსოფლიოს კულტურულ მშენებლობის მიღწევათა გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად. გამოფენა ეწყობა ლონდონში.

„აბესალომ და ეთერი" სომხურად

სომხურ ოპერის თეატრში, რომელიც წელს პირველად გაიხსნება ერევანში, სომხურად წარმოდგენილი იქნება ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი". ოპერის თარგმნას უკვე შეუდგნენ.

„ზ. ფალიაშვილი სომხეთში"

აგვისტოს შუა რიცხვებში საბჭოთა სომხეთის დედა ქალაქს ერევანს ეწვია სახალხო არტისტი, კომპოზიტორი ზაქ. ფალიაშვილი. 12 და 13 აგვისტოს კომუნარების ბაღის ორკესტრი ზ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით, ასრულებდა მხოლოდ ზ. ფალიაშვილის ნაწარმოებს.

სომხური სალიტერატურო გაზეთი ზ. ფალიაშვილის კონცერტების შესახებ სწერს: „ჩვენთვის საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტის ზ. ფალიაშვილის კონცერტებს აქვს უდიდესი კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობა. ზ. ფალიაშვილის კონცერტებმა ჩვენ მოგვცეს საშუალება კიდევ ერთხელ მოგვესმინა მთელი რიგი ნაწარმოებები, რომლებშიაც უხვად მოიპოვებიან ქართული ხალხური შემოქმედების ელემენტები. რომ კომპოზიტორი ზ. ფალიაშვილი პოპულიარულია საქართველოში, სომხეთში, აზერბეიჯანში და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, ამის მიზეზი უთუოდ ის არის, რომ მისი შემოქმედება ღებულობს საწყისებს ხალხური სიმღერებიდან. მაგრამ კომპოზიტორი იღებს რა ხალხურ სიმღერებს გადასამუშავებლად, სიმფონიური კონცერტებისა და ოპერისათვის, კი არ ემწყვდევა ხალხურ სიმღერების ვიწრო ჩარჩოებში, არამედ აფართოებს და შლის მის ფორმებს".

ზ. ფალიაშვილი იმავე ორკესტრით გამოვიდა აგრეთვე ერევნის მექანიკურ ქარხანაში. აქ პროგრამა შედგენილი იყო ზ. ფალიაშვილისა და სპენდიაროვის ნაწარმოებთაგან.

ზ. ფალიაშვილს აღფრთოვანებით შეხვდენ მექანიკური ქარხნის მუშები.

ლიტქრონიკა



გამოვიდა

ეგნატე ნინოშვილის ნაწერების პირველი ტომი ს. ხუნდაძის რედაქციით და შენიშვნებით.

გამოცემა „ფედერაცია"-სი.

—:—

ახალი პიესები

დრამატურგმა გ. ბუხნიკაშვილმა დასწერა ახალი პიესები: „ოქტომბერი" (მიმოხილვა 3 მოქ.) ოქტომბრის რევოლიუციის 15 წლის თავისათვის და „აფეთქება" (4 მოქ.) ახალი ხევსურეთის ცხოვრებიდან.



ბესიკი

გამოვიდა ბესიკის თხზულებათა სრული კრებული ალ. ბარამიძის და ვ. თოფურიას რედაქციით.

გამოცემა „ფედერაცია"-ში.

—:—

„დიდი მოურავი"

ამჟამად თბილისში იმყოფება რუსი მწერალი ქალი **ანა ანტონოვსკაია,** რომელიც 19 სექტემბერს მწერალთა სასახლეში წაიკითხავს ადგილებს თავის ახალ რომანიდან: „დიდი მოურავი" (თემა—გიორგი სააკაძის ცხოვრება). დასასრულ აზრთა გაცვლა - გამოცვლა. დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

შესვლა თავისუფალია.

„დიდი მოურავი"

ჟურნალ „კრასნაია ნოვ"-ში ერთი წელია რაც იბეჭდება ისტორიული რომანი „დიდი მოურავი". რომანის ავტორია მწერალი ქალი ანა ანტონოვსკაია. რომანის თემა—საქართველოს მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიული სინამდვილე, კერძოდ დიდ მოურავად წოდებულ გიორგი სააკაძის ცხოვრება და მოღვაწეობა. რომანი ეხება საქართველოს მაშინდელ სოციალ-პოლიტიკურ მდგომარეობას და იძლევა ისტორიულ ამბებს ახალ გაშუქებით.

ამ მიზნით ის სააკაძის პიროვნებას ხატავს არა მეფის ტახტის უერთგულეს მოურავად, როგორც ამის ჩვენებას ცდილობენ ნაციონალისტი ისტორიკოსები, არამედ, როგორც წვრილი აზნაურობისა და გლეხობის განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგს, რომელიც ბრძოლებს აწარმოებდა დიდი ფეოდალების წინააღმდეგ მათი უფლებების შესაზღუდავად და სხვ.

რომანი ფართოდ ეხება იმ სოციალურ ბრძოლებს, რომელთაც ადგილი ქონდათ ფეოდალებსა და წვრილ აზნაურებს შორის, ბატონყმობის თავისებურება, ფეოდალებს შორის ბრძოლა, სპარსეთთან და ოსმალეთთან ქართველ ფეოდალების ომების ეკონომიური მიზეზები. ამ ფონზეა ნაჩვენები სააკაძის როლი და ბრძოლის მნიშვნელობა, მისი გმირული თვისებები, როგორც სარდლისა და ის იდეები, რომელთა განხორციელებისათვის ასე სასტიკად იბრძოდა სააკაძე აღნიშნული წლების განმავლობაში.

სახელგამს განზრახული აქვს აღნიშნული რომანი ქართულად გამოსცეს.

შეცდომების გასწორება

ალი არსენიშვილის წერილში: **სვეტი 1-ლი, პწკ. 29** უნდა იყოს: „დროა ვიფიქროთ მეწვრილმანეთა და ღარიბთა ფართო მასების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე". **სვეტი მეორე, პწკ. 35 და 36** „პასკალი"-ს მაგიერ უნდა იყოს: „ჰასკალა".

იქვე, პწკ. 61 უნდა იყოს: „გოტლობერი". **სვეტი მეოთხე, პწკ. 26** უნდა იყოს: „გენერალ ბუტის".

იქვე პწკ. 49, „ესაა კლსათა ბრძოლა"-ს მაგიერ უნდა იყოს: ესაა კლასთა ბრძოლა!

იქვე, პწკ. 51 უნდა იყვეს: „სოსელს".

სარედაქციო კოლეგია:
დ. დემეტრაძე (პ. მგ. რედაქტორი) რ. გვეტაძე (რედაქ. მდივანი) შ. დუდუჩავა, ს. თალაკვაძე, ნ. მიწიშვილი ლ. ქიაჩელი, ნ. ზომლეთელი, ბეს. ჟღენტი.

გამომცემლობა „ფედერაცია".

მთავლიტი № 1987
სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68
ტირაჟი 4.100